აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№41 (24.921) ხუთშაბათი, 28 - 29 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 20-25, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ფრანჩესკო როკას შეხვდა. ყურადღება გამახვილდა უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მტკიცე მხარდაჭერა უკრაინისადმი და აღნიშნა, რომ ეს მხარდაჭერა გამოხატულია როგორც პოლიტიკური, ისე ჰუმანიტარული თვალსაზრისით. საუბარი შეეხო, ასევე, აღნიშნული ფედერაციის ევროპის მე-11 რეგიონულ კონფერენციას, რომელსაც საქართველო პირველად მასპინძლობს.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ვაშინგტონში, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის დაკრძალვის ცერემონიაზე დასასწრებად მიიწვიეს. გამოსამშვიდობებელ ცერემონიას ესწრებიან აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, ექსპრეზიდენტი ბილ კლინტონი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და ოჯახის წევრები. საქართველოს პრეზიდენტი, მსოფლიო ლიდერებთან ერთად, მადლენ ოლბრაიტის პატივსაცემად გამართულ მიღებას დაესწრება, რომელიც ვაშინგტონში, აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტში გაიმართება. მადლენ ოლბრაიტი 84 წლის ასაკში, 23 მარტს გარდაიცვალა.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ხავიერ კოლომინას შეხვდა. ახალი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, შალვა პაპუაშვილმა ისაუბრა საქართველოს ნატოში გაწევრიანების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და იმედი გამოთქვა, რომ ნატოს მადრიდის სამიტზე აღიარებული იქნება საქართველოს პროგრესი. ხავიერ კოლომინას უმასპინძლეს, ასევე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში. „ნატო-საქართველოს ურთიერთობა ძალიან წარმატებულია. ჩვენ ვაფასებთ საქართველოს როგორც ჩვენს პარტნიორ ქვეყანას“, - განაცხადა ხავიერ კოლომინამ.

* * *

აზერბაიჯანში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა შეხვედრა გამართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან. მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ორი ქვეყნის მჭიდრო მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა, მიმოიხილეს მსოფლიოსა და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო და არსებული გამოწვევების ფონზე ხაზი გაუსვეს მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას.

მოამზადა
ია შველიძემ

„ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ – კომისიის სამუშაო შეხვედრა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბათუმის მერიაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მიზნობრივ პროგრამაში „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ - მონაწილეობის მსურველი დეველოპერული კომპანიების წინადადებების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის წევრებთან

აღნიშნული კომისია აჭარის მთავრობის განკარგულებით შეიქმნა და უზრუნველყოფს პროგრამაში მონაწილეობის მსურველი დეველოპერული კომპანიების წინადადებების მიზნობრივ პროგრამასთან შესაბამისობის თაობაზე რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას.

დღეის მდგომარეობით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე 120 საცხოვრებელ სახლზე მომზადდა საექსპერტო დასკვნა. აქედან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 17 მისამართიდან ქირით გაყვანილი ჰყავს 217 ოჯახი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია დაახლოებით 302 განცხადება, რომელიც ეხება ავარიულ საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ ეტაპზე, 46 მისამართზე მიმდინარეობს ექსპერტიზა, ხოლო დანარჩენი მისამართების დათვალიერება-შესწავლა ეტაპობრივად ხორციელდება. ბათუმის მერია განაგრძობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, შესაძლო ავარიული, ამორტიზებული და საფრთხის შემცველი სხვა შენობა-ნაგებობების გამოვლენის ღონისძიებებს.

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მიერ შეიქმნა შერეული სამთავრობო კომისია, რომელიც მიზნად ისახავს დეველოპერული კომპანიების შემოთავაზებების განხილვას პროგრამის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ ფარგლებში. ბუნებრივია, პროცესში ჩართულები იქნებიან როგორც სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები. ამ ეტაპისათვის, როგორც კერძო სექტორთან შეხვედრისას გვქონდა დაპირება, 120 მისამართზე ჩატარდა ექსპერტიზის ბიუროს შესაბამისი პროცედურები, შენობებს მიენიჭა ავარიულის სტატუსი. აღნიშნული ნუსხა გასაჯაროვდება. ამავდროულად, 300-მდე მისამართზე სრულად განხორციელდება საექსპერტო კვლევები, რის შემდეგაც დამატებითი წინადადებები იქნება მიწოდებული კერძო სექტორისა და დეველოპერებისათვის, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

კომისიას უხელმძღვანელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ ძნელაძე. კომისიის წევრები არიან ბათუმის მერიის, მთავრობის აპარატის, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლები.

ბათუმის მერი ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

2

«თუ უკრაინა დამარცხდა, ეს დასავლეთის ეპოქალური მარცხი იქნება»

3

საზოგადოების აზრი გადამწყვეტია

2

«აბრეშუმის გზა არის ჩვენი გადარჩენაც, ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობაც, თავისუფლების გარანტიაც»

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს მიმდინარე პროექტები გააცნეს

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები ფრიდონ ფუტკარაძე და ლაშა სირაბიძე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარინა ზანაქიძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერ როლანდ ბერიძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძესთან ერთად, დაბა ქედისა და პირველი მაისის მცხოვრებლებს შეხვდნენ

რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტები, ადგილობრივთა გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები იყო შეხვედრის მთავარი თემები. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილზე მოისმინეს სოფლის საჭიროებები, გაეცნენ ადგილობრივების პრობლემებს და იმსჯელეს მათი მოგვარების გზებზე.

ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძემ მოსახლეობას ახალი ვებპლატფორმის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

- Chaerte.sca.ge თქვენთვის შეიქმნა და მისი საშუალებით ნებისმიერ თქვენგანს სახლიდან გასვლელად შეუძლია ელექტრონული პეტიციების წარდგენა, მხარდაჭერა, კანონპროექტზე კომენტარის გაკეთება, უმაღლესი საბჭოსთვის განცხადებით მიმართვა, საშვის ელექტრონულად მოთხოვნა, სხდომებზე დასწრება, - განაცხადა ფრიდონ ფუტკარაძემ. მან შეხვედრის მონაწილეებს ვებგვერდის მუშაობის სპეციფიკა გააცნო.

უმაღლესი საბჭოს წევრები ადგილობრივებს, არსებული გამოწვევების მოგვარების მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობას დაჰპირდნენ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება, რომელშიც ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად აჭარის სამინისტროების წარმომადგენლები არიან ჩართული.

ია შველიძე

ბათუმის მერი ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი შარაშიძის ჩიხებში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

კეთილმოწყობის ღონისძიებების ფარგლებში, კომპანია „ბონდი 2009“-მ უკვე დაასრულა მიწისქვეშა საკომუნიკაციო სამუშაოები, რის შედეგადაც მოეწყო სანიაღვრე სისტემები. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება. შარაშიძის ჩიხების რეაბილიტაციისთვის ერთ მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

- აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში, შარაშიძის ჩიხებში გზის კეთილმოწყობის მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს, სადაც წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო ინფრასტრუქტურა. უკვე დასრულდა მიწისქვეშა და გარეგანათების სისტემების მოწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება, მაისში კი სატრანსპორტო მოძრაობა სრულად აღდგება. ამით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი შეემატება ჩვენს ქალაქს. რაც შეეხება სამომავლო პროექტებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში, ესენია ახალი ატრაქციონების მონტაჟი, დამცავი კედლების, სკვერების, სპორტული მოედნებისა და შარაშიძისა და მაჭავარიანის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა. საერთო ჯამში, ამ ეტაპზე, აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 3 მილიონამდე ლარი დაიხარჯება, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

საზოგადოების აზრი გადამწყვეტია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიუვაძის ინიციატივის პასუხად, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ქვეყნის, რეგიონის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებენ

საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ანზორ ბოლქვაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე ჯემალ სურმანიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ ფუტკარაძემ მარეთის ხეობის ორი თემის 10-ზე მეტი სოფლის წარმომადგენლებთან საინტერესო შეხვედრები გამართეს ოლადაურის ცენტრსა და შუბნის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში.

აჭარის მთავრობა, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ოლადაურის და შუბნის თემების სოფლებში წელს 35-ზე მეტი დიდი და მცირე პროექტის განხორციელებას აპირებს. დასრულდება სოფელ შუბნის საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესყიდული აქვს დარჩიძეებში სკოლის ახალი შენობის პროექტი, რომლისთვისაც ადგილი სოფლის ცენტრში გამოინახება.

გრძელდება შუახევი-შუბანი-ჩირუხის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება. მალე ჩირუხის ტურისტული პოტენციალის ათვისებისთვის გამართულ კონკურსს გამარჯვებული ეყოლება და 10 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოები დაიწყება.

ასეთ ფონზე, მთის მკაცრი კლიმატი, ბუნებრივი კატაკლიზმები მოსახლეობის ერთ ნაწილს პრობლემების წინაშე აყენებს. უბანში მისასვლელი საავტომობილო გზის მოწესრიგება მოითხოვა მაწყვალთელმა შოთა ფუტკარაძემ. ამავე სოფლის მაკარაშვილების უბანში ახალი გზა გაიყვანეს. სავალ ნაწილზე საყრდენი კედელია ჩამოსასხმელი. 7 ოჯახი საავტომობილო გზას ვერ იყენებს.

მახალაკიძეებლებმა რაბათის უბანში მდინარე ჩირუხისწყლის კალაპოტის გაწმენდა ითხოვეს. ადიდებული მდინარე ნაპირებიდან გადმოდის და სახნავ-სათიბ ფართობებს აზიანებს. სოფლის სასაფლაოების კეთილმოწყობა სურთ ოლადაურსა და ჯუმუშაურში, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა - კარაპეტში. მოძველებული წისქვილის შენობის ახლით შეცვლის წინადადებით გამოვიდა ოლადაურელი მერაბ მაკარაძე. დათვაურის უბანში გზის სავალ ნაწილზე საყრდენი კედლის ჩამოსხმა მოითხოვეს ოლადაურში გამართულ შეხვედრაზე.

დარჩიძეებიდან, ტომაშეთიდან, ახიაურიდან, წელათიდან, კობალთიდან, ქუთაურიდან მოვიდნენ მოსახლეობის წარმომადგენლები შუბნის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე.

შუბნის ბაგა-ბაღის მენეჯერმა თეონა მგელაძემ მუსიკალური ინსტრუმენტების, სხვა ინვენტარის შესაძენად დახმარება ითხოვა. მეწყრული პროცესები გააქტიურებულია სოფელ ტომაშეთში. რამდენიმე ოჯახი საიმედო ადგილზეა გადაყვანილი. ისინი სპეციალისტების დროულ დასკვნას ითხოვენ.

- რამდენიმე წლის წინ შუახევი-შუბნის საავტომობილო გზის გასწვრივ, შუბნის საჯარო სკოლის ფილიალის ახალი შენობა ძველს მიადგეს. ძველის დაშლაზე არავინ ფიქრობს. ზამთარში ორივე შენობის თოვლისგან გაწმენდა შეუძლებელი ხდება, - თქვა ერდვათელმა ტარიელ ფუტკარაძემ.

გურამ ბოლქვაძემ ქუთაურში სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება მოითხოვა.

10-მდე ოჯახი შემორჩა სოფელ შუბნის ვაკის უბანს. იქაური ოთარ ფუტკარაძე ნალექების შედეგად შეგუბებული წყლისთვის კალაპოტის გაკეთებას ითხოვს. წყლის დაგუბებამ ერთხელ უკვე გამოიწვია მეწყრული პროცესი.

- წელიწადზე მეტი გავიდა და შუბნის პირველადი დახმარების სამედიცინო ცენტრს ექიმი არ ჰყავს, - თქვა შეხვედრაზე თენგიზ ფუტკარაძემ.

ხუთი პედაგოგი, მათ შორის, სამი ქალი სოფელ დარჩიძეებიდან, შუბნის საჯარო სკოლაში მუშაობს. მათ სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს უფასო ტრანსპორტით მომსახურება სთხოვეს.

- ორივე თემში მოსახლეობის წარმომადგენლებთან ხალხმრავალი და საქმიანი შეხვედრები გვქონდა, - გვითხრა ომარ ტაკიძემ, - მოსახლეობის სურვილები და პრობლემები დროულ რეაგირებას ითხოვს, რასაც მალე მოვაგვარებთ.

ამბები

შეხვედრა - სკოლაში

რამდენიმე თვის წინ ნორჩი შემოქმედის საბა გოგრაჭაძის ფილმმა «წყაროთული ამბები» საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. საბას მამა ცნობილი პოეტია, ლექსების კრებულთან ერთად, უკვე რომანი - «ჩვიდმეტი» გამოსცა. ახლა ვახტანგი აჭარის განათლების,

კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსშია ჩართული, სადაც წარადგინა პროექტი ახალგაზრდა კინომოყვარულთა კონკურს-ფესტივალის გამართვის თაობაზე. მისი პირობითი სახელწოდებაა «აჭარული ამბავი».

- ფესტივალთან დაკავშირებით, საინფორმაციო შეხვედრები იმართება საჯარო სკოლებში. ერთი ასეთი შეხვედრა ვახტანგ გოგრაჭაძის მშობლიურ სოფელ წყაროთაში მოეწყო. საზოგადოების წარმომადგენლებს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს ფესტივალის შესახებ ინფორმაცია გააცნო ვახტანგ გოგრაჭაძემ. შეკრებილებს მიესალმნენ შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, პოეტი ცისანა ანთაძე. ცნობილმა მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: «ქართული ენის საკაცობრიო მნიშვნელობა».

იფთრის ვახშამი

კიდევ რამდენიმე დღე და მუსლიმანური კალენდრით რამაზანის მარხვა დასრულდება. ამ რიტუალს აჭარის მთიანეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ასრულებს. 2 მაისს ყველა მოქმედ მეჩეთში მარხვის დასრულება საზეიმო ლოცვით აღინიშნება.

სრულიად საქართველოს სამუფთო სამმართველო, საქართველოს ახალგაზრდების დახმარების ასოციაცია, მორწმუნეებს მარხვის რიტუალი რომ გაუიოლონ რიგ ღონისძიებებს მართავენ.

ასოციაციის ინიციატივით, სოფელ ჭალაში 150-მდე მორწმუნეს იფთრის (პირის გახსნა) ვახშამი მოუწყვეს. მიზნობრივი რიტუალისა და ვახშმის შემდეგ, მუსლიმი თემის წარმომადგენლებს მიესალმნენ სრულიად საქართველოს სამუფთო სამმართველოს უფროსი ადამ შანთაძე, ქედის, შუახევის, ხულოს მუფთები გურამ ხალვაში, ასლან შარაშიძე, ასლან აბაშიძე, საქართველოს ახალგაზრდების დახმარების ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ მიქელაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე.

- მორწმუნეებს რამაზნის მარხვის მშვიდობიანად დასრულებას ვუსურვებთ. იფთრის ვახშამმა ჭალაში შესანიშნავად ჩაიარა. თვითმმართველობის წარმომადგენლებს საჯაროდ მადლობა გადავუხადეთ, - გვითხრა ადამ შანთაძემ.

მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„თუ უკრაინა დამარცხდა, ეს დასავლეთის ეპოქალური მარცხი იქნება“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესია უკრაინაში, იავარქმნილი ქალაქები და სოფლები, ათასობით დახოცილი, ათიათასობით დაჭრილი, მილიონობით ლტოლვილი სწორედ იმას ცხადყოფს, რომ რუსეთის მთავარი ამოცანა უკრაინის მსოფლიო პოლიტიკის რადარებიდან გაქრობაა. ნაკლებ სავარაუდოა, რომ კრემლმა შეძლოს ამ მიზნის მიღწევა, რადგან დასავლეთის თანადგომა უკრაინისადმი ნათელია, აშშ-ის და ევროკავშირის მხარდაჭერა რომ არა, სავარაუდოდ, რუსეთი საწადელს მიაღწევდა. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ ***გელა ირემაძეს.***

- ექსპერტები აცხადებენ, რომ დღეს უკრაინაში წყდება მსოფლიოს თუ არა, ევროპის ბედი...

- რა თქმა უნდა, დღესდღეობით უკრაინაში გადამწყვეტი პროცესები მიმდინარეობს. ბოლო 30 წელია, ეს ქვეყანა დამოუკიდებლობის გზას ადგას, რომელიც რთული და წინააღმდეგობით სავსეა. „მაიდნის“ შემდეგ მან მკვეთრად ევროპული კურსი აირჩია და რუსეთის აგრესიამაც იმატა. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ უკრაინაში იტესტება დღევანდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა. უდავოა, რომ თუ უკრაინა დამარცხდა, ეს დასავლეთის ეპოქალური მარცხი იქნება, რასაც ის არ დაუშვებს.

- ორი თვეა, რაც უკრაინაში ომი მიმდინარეობს. რა ცხადყო მან?

- ამ ომმა ბევრ რამეს ახადა ფარდა, მაგალითად, ევროპის ერთიანობა წარმოაჩინა. ხედავთ, როგორი თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადეს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა უკრაინას? როგორ ამარაგებენ იარაღით, როგორ ეხმარებიან ფინანსურად? დიდია პოლიტიკური მხარდაჭერაც, თუმცა გერმანია, საფრანგეთი, უნგრეთი, გარკვეულწილად, რუსეთის პოლიტიკას ლობირებენ დასავლეთში. გავახსენებ თქვენი გაზეთის მკითხველს, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ 2007 წლის მიწურულს დაბლოკეს საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება, რამაც, საბოლოოდ, რუსეთის აგრესია განაპირობა ჩვენც ქვეყანაში.

- უკრაინისადმი დასავლეთის თანადგომა რამდენად მნიშვნელოვანია რუსული აგრესიის შესაჩერებლად?

- ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა რომ არა, უკრაინელებს გაუძნელდებოდათ მტრის შეჩერება. სხვათა შორის, უკრაინაში მდინარესავით შეედინება საბრძოლო იარაღი, აღარაფერს ვამბობ სადაზვერვო ინფორმაციების მიწოდებაზე... მომავალში მსოფლიო ისეთი ვერ იქნება, როგორიც ამ ომამდე იყო. საერთაშორისო თანამეგობრობამ, იგივე გაერომ სუვერენიტეტის თემა და, ზოგადად, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხის ხელყოფა არ უნდა დაუშვან და აგრესორებს სათანადო პასუხი უნდა გასცენ. რუსეთი რომ ცინიკური ქვეყანაა, იქიდანაც ჩანს, რომ მას უკრაინის სუვერენიტეტთან დაკავშირებით 2014 წლამდე არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა, მაგრამ ახლა თავისივე ხელმოწერილი შეთანხმება (ბუდაპეშტის მემორანდუმი, სადაც რუსეთი, აშშ და საფრანგეთი უკრაინის სუვერენიტეტის დამცველები იყვნენ) დაარღვია და პირდაპირი აგრესია განახორციელა უკრაინის მიმართ.

- რა გავლენა ექნება რუსეთის გაძლიერებას ან ფიასკოს უკრაინაში?

- უდავოა, რომ რუსეთის გამარჯვება ან მარცხი უკრაინაში უამრავი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს. თუ რუსეთი უკრაინაში დამარცხდება, ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას. შორს ვარ მოსაზრებისგან, რომ დღეს მესამე მსოფლიო ომისთვის მზად არის აშშ, ასევე ევროპაც, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთზე... ის ეკონომიკური სანქციები, რომლებიც, ფაქტობრივად, რუსეთის წინააღმდეგ არის ამოქმედებული, მას ძალიან დააზარალებს - გამოიწვევს რუსული ეკონომიკის მოშლას, რაც უკვე დაწყებულია. თვით რუსი საზოგადოება გამოიტანს ვერდიქტს, რისი ღირსიცაა დიქტატორული რუსეთის რეჟიმი, რომელსაც მართავს პუტინი თითქმის მეოთხედი საუკუნე. რაც შეეხება რუსეთის გაძლიერებას, ამას არ ველოდები იქიდან გამომდინარე, რომ (რასაც თითქმის ყველა სამხედრო ექსპერტი აღნიშნავს) რუსეთის ჯარის ძლევამოსილების მითი უკრაინულმა არმიამ დაანგრია. დაღუპულია დაახლოებით ოცი ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურე, ამდენივე დაიჭრა, განადგურებულია ათასობით რუსული სამხედრო ტექნიკა, მათ ვერ აიღეს ვერც კიევი, ვერც ხარკოვი, ვერც ოდესა, მხოლოდ გარკვეული წარმატებები აქვთ დონეცკის და ლუგანსკის რეგიონებში. მეტად მნიშვნელოვანია, რომ უკრაინული არმია მოტივირებულია, თანაც დასავლეთი ეხმარება. შეგახსენებთ, რა თქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონსონმა: „არ დავუშვებთ რუსეთის გამარჯვებას ამ ომში“. ეს განცხადება მრავალისმთქმელია.

- რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი რუსეთისთვის უკრაინა?

- ამას განაპირობებს ამ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, თავის დროზე ამერიკელმა პოლიტოლოგმა ბუეზინსკიმ თქვა, რომ უკრაინის გარეშე რუსეთის იმპერია ვერ აღდგება. პუტინს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო და ცდილობს თანამედროვე, საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა დსთ, მოხდა სახელმწიფოების გადაჯგუფება, რუსეთმა საწადელს მაინც ვერ მიაღწია, ამიტომ ცდილობს, შეზღუდოს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტი. საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ამის მკაფიო მაგალითებია.

- როგორც ცნობილია, უკრაინა თითქმის ყველა ფრონტზე უტევს რუსეთს. ახლახან მის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ჰააგის სასამართლოში...

- ყველამ ნახა ბუჩას საზარელი კადრები, სადაც ასობით მშვიდობიანი მოქალაქეა მოკლული, არანაკლები სასასტიკე ხდება მარიუპოლში, სხვათა შორის, ესტონეთის და ლიეტუვის პარლამენტებმა რუსეთის ქმედებებს უკრაინაში გენოციდის კლასიფიკაცია მიანიჭა. საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ზემოაღნიშნული სასამართლო, ძნელი სათქმელია, თუმცა იმედია, სათანადოდ მოემზადება უკრაინული მხარე და უტყუარი მასალები გაეგზავნება ჰააგის სასამართლოს რუსეთის დანაშაულობებზე უკრაინაში.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ვიდრე დასავლეთი რუსულ გაზსა და ნავთობზე საბოლოოდ არ იტყვის უარს, მანამდე რუსეთს ყოველთვის შეეძლება აგრესიის განხორციელება...

- რუსეთის ეკონომიკისთვის გაზი და ნავთობი მნიშვნელოვანი კომპონენტია, დასავლეთი ამაზე მუშაობს. შესაძლოა, ევროკავშირმა რუსულ ნავთობზე ემბარგო დააწესოს. ამას წინათ ირლანდიის, ლიეტუვისა და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრებმა თქვეს, რომ ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო რუსული ნავთობის ემბარგოს თაობაზე წინადადებებს ამზადებს, თუმცა რუსული ნედლეული ნავთობის აკრძალვაზე შეთანხმება ჯერჯერობით არ არსებობს... როგორც ცნობილია, რუს ოლიგარქებს დასავლეთში ფინანსები გაეყინათ, ზოგიერთებს კი ქონებაც ჩამოერთვათ, რაც დასავლეთის თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია. საუბარია ასობით მილიარდ დოლარზე. ამით, გარკვეულწილად, ზემოქმედებას ახდენენ კრემლზე, რომელთანაც ამ ოლიგარქების უდიდესი ნაწილია დაკავშირებული.

- ვხედავთ, რომ რუსეთმა ომის მეორე ფაზა დაიწყო...

- რაც უნდა ისაუბროს რუსეთის გენშტაბმა, თითქოს მხოლოდ დონეცკის რეგიონის განთავისუფლება უნდოდათ, რეალურად რუსეთმა უკრაინაში მარცხი განიცადა. ცნობისთვის: რუსეთს ამხელა დანაკარგი არ ჰქონია არც ჩეჩნეთის ომში, არც სირიაში და არც ავღანეთში. როგორც ვთქვი, რუსეთის უძლეველობის მითი უკრაინელებმა დაამსხვრიეს. ისინი თავიანთი ქვეყნის სუვერენიტეტს გმირულად იცავენ და მინდა მათ მიმართ სოლიდარობა გამოვხატო.

- რუსეთის აგრესია, გარკვეულწილად, უკრაინისა და ნატოს დაახლოებამ გამოიწვია, აცხადებენ ექსპერტები. ბოლოს და ბოლოს, როდის მიიღებენ ნატოში საქართველოსა და უკრაინას?

- როგორც ცნობილია, ამას წინათ საქართველოში ჯეიმს აპატურაი იმყოფებოდა, რომელმაც ნატოს ღია კარის პრინციპზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ნატოს კარი ღიაა საქართველოსთვის, მაგრამ მარტო განცხადებით, დაპირებებით ფონს ვერ გავალთ. ვფიქრობ, რომ სერიოზული დაფიქრება მართებს ალიანსს, მის მდივანს, რომ ეს საკითხი ან დადებითად, ან უარყოფითად გადაწყდეს.

- რას იტყვით ევროკავშირის კითხვართან დაკავშირებით - რას წარმოადგენს ეს დოკუმენტი?

- ეს კითხვარი ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც წინასწარ ეძლევა კანდიდატ სახელმწიფოს. ამ მხრივ სერიოზული სამუშაოები აქვს ხელისუფლებას ჩასატარებელი. ეს არ ნიშნავს, რომ ნახევარ ან ერთ წელიწადში მოვახდენთ ინტეგრაციას ევროკავშირში. ეს კითხვარი უნდა მოერგოს ქვეყნის შიგნით არსებულ საკანონმდებლო, საგადასახადო, სასამართლო, ადამიანის უფლებების სფეროებს, მოკლედ, ყველა ინსტიტუტს. გარდა ამისა, ის შეუსაბამობები, რომლებიც გვაქვს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, უნდა აღმოიფხვრას.

- რა გავლენა ექნება ამ ომის შედეგებს მსოფლიოზე და, კერძოდ, საქართველოზე?

- რა თქმა უნდა, მას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ევრაზიის კონტინენტზე. ამ ომის დასრულების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. უკვე ვხედავთ ფასების მკვეთრ ზრდას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკრაინა დიდი აგრომიმწოდებელი ქვეყანა იყო მსოფლიო ქვეყნებისთვის. დარწმუნებული ვარ, ამ ომს უკრაინა მოიგებს - სიმართლე მის მხარესაა.

- დაბოლოს, ოპოზიცია ხელისუფლებას აკრიტიკებს უკრაინის არასათანადო მხარდაჭერის გამო, მმართველი პარტია კი ოპოზიციის დესტრუქციულობაზე საუბრობს...

- ჩვენმა ხელისუფლებამ რა ნაბიჯებიც ამ პერიოდში გადადგა, სავსებით მართებულია, ყველა საერთაშორისო ფორუმზე საქართველომ უკრაინას მკაფიო მხარდაჭერა გამოუცხადა. ჩვენს ქვეყანაში მრავალათასიანი მიტინგები გაიმართა უკრაინელთა მხარდასაჭერად, უკრაინაში ასობით ჩვენი თანამემამულე იბრძვის, რაც მრავალისმთქმელია და ამის დაუნახაობა არ ეგების.

> *„ის ეკონომიკური სანქციები, რომლებიც, ფაქტობრივად, რუსეთის წინააღმდეგ არის ამოქმედებული, მას ძალიან დააზარალებს - გამოიწვევს რუსული ეკონომიკის მოშლას, რაც უკვე დაწყებულია. თვით რუსი საზოგადოება გამოიტანს ვერდიქტს, რისი ღირსიცაა დიქტატორული რუსეთის რეჟიმი, რომელსაც მართავს პუტინი თითქმის მეოთხედი საუკუნე*

პუტინი იმუქრება

თუ ვინმე გარედან უკრაინის საკითხში ჩარევას შეეცდება, ჩვენი პასუხი ელვისებური იქნება, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა. მისივე თქმით, ყველა გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ მოახდენს მოსკოვი ამ სიტუაციაში რეაგირებას, უკვე მიღებულია.

„თუ ვინმე გარედან უკრაინის საკითხში ჩარევას შეეცდება, ჩვენი პასუხი ელვისებური იქნება. ჩვენ გვაქვს ყველა ინსტრუმენტი პასუხისთვის, რომლითაც ვერავინ დაიკვეხნის. ჩვენ ამით ტრაბახს არ ვაპირებთ, გამოვიყენებთ მათ საჭიროების შემთხვევაში“, - განაცხადა პუტინმა.

სანკტ-პეტერბურგში რუს დეპუტატებთან სიტყვით გამოსვლისას კრემლის ლიდერმა ისიც აღნიშნა, რომ დასავლეთს რუსეთის დაყოფა სხვადასხვა ნაწილად სურდა.

მანვე დასავლური ქვეყნები იმაშიც დაადანაშაულა, რომ მათ უკრაინას რუსეთთან კონფლიქტისკენ უბიძგეს.

პუტინის თქმით, რუსულმა რუბლმა, საბანკო სისტემამ, სატრანსპორტო სექტორმა და მთლიანად ეკონომიკამ ოფიციალური მოსკოვის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს გაუძლო. კრემლის ლიდერმა რუსეთის იზოლაციის მცდელობებისთვის პასუხის გაცემის პირობაც დადო.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

გაეროს უსაფრთხოების საბჭოს წევრი ქვეყანა ბოლო ათწლეულია, ბოროტად იყენებს თავის უფლებას ვეტოს გამოყენების თაობაზე, - განაცხადა გაეროში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე რიჩარდ მილსმა რუსეთის შესახებ საუბრისას. ინფორმაციას „სი-ენ-ენი“ ავრცელებს. „ვეტო არ იყო ჩაფიქრებული როგორც კარტბლანში საბჭოს მუდმივი წევრების დაუსჯელობისთვის. მისი დანიშნულება არ იყო ავტომატური სამუდამო დაცვა პასუხისმგებლობისგან. რუსეთმა დააკნინა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს როლი და რეპუტაცია... და შებღალა მთლიანად გაერო“, - აღნიშნა მილსმა.

* * *

თურქეთი იმედოვნებს, რომ უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა უახლოეს დღეებში გაიმართება. თურქეთის თავდაცვის მინისტრ ჰულუსი აკარის თქმით, მოლაპარაკებების მომზადების პროცესში ჯერ კიდევ არის პრობლემები. „ჩვენ შეშფოთებით ვაკვირდებით მოვლენების განვითარებას. მიღებული სიახლეებით თუ ვიმსჯელებთ, არის ცალკეული პრობლემური სიტუაციები. როგორც ყველა ქვეყანა, ჩვენც ძალისხმევას არ ვიშურებთ მათ დასაძლევად“, - აღნიშნა ჰულუსი აკარმა რამშტაინის ნატოს ბაზაზე გამართული საკონსულტაციო ჯგუფის სხდომის შემდეგ. როგორც მან აღნიშნა, მიუხედავად სირთულეებისა, არსებობს იმედი, რომ თურქეთის შუამავლობით ვოლოდიმირ ზელენსკი და ვლადიმირ პუტინი ერთმანეთს შეხვდებიან.

* * *

„გაზპრომის“ განცხადება პოლონეთისა და ბულგარეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე მას შემდეგ, რაც მათ უარი თქვეს მისი საფასურის რუბლში გადახდაზე, არის რუსეთის მცდელობა, ევროკავშირი გაზით დაუშანტაჟოს, - ამის შესახებ ევროკომისიის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა. მისივე თქმით, ეს გაუმართლებელი და დაუშვებელია და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთი არის გაზის არასანდო მიმწოდებელი, ამიტომაც ევროკავშირი ამ ნაბიჯს სათანადოდ უპასუხებს, ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად გააგრძელებენ ალტერნატიულ წყაროების მოძიებას. რუსეთმა პოლონეთსა და ბულგარეთს გაზის მიწოდება 27 აპრილიდან შეუწყვიტა და განაცხადა, რომ ანალოგიურად მოექცევა სხვა „არამეგობრულ“ ქვეყნებსაც.

* * *

ყველა პრობლემა უკრაინაში 2014 წლის გადატრიალების შემდეგ წარმოიშვა, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გაეროს გენერალურ მდივან ანტონიო გუტერეშს განუცხადა, რომელიც ამ დღეებში მოსკოვს ეწვია. პუტინმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ უკრაინის საკითხზე მოლაპარაკებებში სერიოზული გარღვევა მოხდა თურქეთში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, თუმცა „შევჯახეთ პროვოკაციას ბუჩაში, რომელთანაც რუსეთის არმიას არავითარი შეხება არ აქვს“. ცნობისთვის: ფოტოები, რომლებზეც ასახულია ბუჩაში აღმოჩენილი მშვიდობიანი მოქალაქეების ცხედრები, მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში რამდენიმე კვირის წინ მოექცა.

მოამზადა
ია შველიძემ

„აბრეშუმის გზა არის ჩვენი გადარჩენაც, ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობაც, თავისუფლების გარანტიაც“

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

გთავაზობთ ინტერვიუს დამოუკიდებელ ანალიტიკოსთან, ჰარმონიული გლობალიზაციისა და მართვის ინსტიტუტის დამფუძნებელთან, გეოპოლიტიკის სპეციალისტ ***თეიმურაზ ზაქრაძესთან.***

- ბატონო თეიმურაზ, როგორ შეაფასებთ საქართველოს ეკონომიკას ჩვენი ორი ძირითადი იმპორტიორის - რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, მით უმეტეს, რომ არც მანამდე გვქონდა ამ მხრივ საქმე კარგად?

- სამწუხაროდ, მართალი ხართ, ეგრეთ წოდებული ეკონომიკა, რომელიც არსებობს საბანკო მონოპოლიის პირობებში, სადაც პრაქტიკულად არ არის საფონდო ბაზარი, რბილად რომ ვთქვათ, უკიდურესად შეზღუდულია.

- იქნებ უფრო დეტალურად აგვიხსნათ?

- მარტივ მაგალითს მოგიყვანთ - ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის ნახევარს მსხვილი კაპიტალი ავსებს, მეორე ნახევარს კი საშუალო კლასი. პრინციპში, საშუალოს ამ კლასს პირობითად უწოდებენ, რადგან მას წარმოადგენენ, მაგალითად, მარკ ცუკერბერგი, ბილ გეიტსი, ილონ მასკი, ანუ საკმაოზე მდიდარი ადამიანები. აშშ-ში 2 საუკუნეზე მეტია, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა არსებობს, რაც მათი წარმატების საწინდარია.

- ჩვენთანაც ხომ ანალოგიური ეკონომიკაა?

- ასე ვერ ვიტყოდი. ჩვენ რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა გვქონდეს, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი ბაზარი უნდა არსებობდეს - სასესხო და საფონდო. ეს უკანასკნელი ისეთი თავისუფალი უნდა იყოს, როგორც ეროვნული საბანკო სისტემა, მაგრამ საქართველოში საშინელება ხდება, თავად ეროვნული ბანკი განაგებს საფონდო

ბაზარს. მარტივად გეტყვით, ეს იგივეა, პომიდორი მხოლოდ ერთ მოვაჭრეს ჰქონდეს ბაზარში, ანუ ფინანსები მხოლოდ ბანკებს აქვს. საფონდო სისტემა ურთთულესია და ცალკე უნდა რეგულირდებოდეს, მაგალითად, ფასიანი ქაღალდების კომისიით. მსგავსი პრაქტიკა მთელ მსოფლიოშია მიღებული. ეკონომიკის გამოთვლა ხდება საფონდო ინდექსებით, თუნდაც - დოუ ჯონსის ინდექსით, იზომება, კონკრეტულ ქვეყანაში იზრდება თუ იკლებს ეკონომიკა. ეს ერთ-ერთი მექანიზმია. მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით არ იზომება, ეს ცალმხრივი პროცესია. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ ჩვენ გვაქვს შეზღუდული ტიპის ეკონომიკა, უაღრესად ანომალიური.

- ნუთუ ასე ცუდად გვაქვს საქმე?

- თავად განსაზღვრეთ: საფონდო ბირჟები არსებობს ტოტალიტარულ ქვეყნებშიც, ჩვენ კი, სამწუხაროდ, არ გვაქვს. ეს პოლიტიკის საკითხია. შესაბამისი კანონი უნდა მიიღოს პარლამენტმა, ნება გამოხატონ პარლამენტარებმა, რადგან ეკონომიკის რეალური განვითარების ერთადერთი პირობაა დამოუკიდებელი საფონდო ბაზარი.

- რაში გამოიხატება ეს აუცილებლობა?

- როდესაც ბიზნესს აქვს არჩევანი, ბანკში კრედიტი აიღოს თუ აქციების ნაწილი გაყიდოს ბირჟაზე და მიიღოს ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი კაპიტალი, მაშინ ეს ბიზნესი თავისუფალი და დამოუკიდებელია, კონკურენციასაც დაძლევს, რადგან იოლად მოიპოვებს რესურსებს, თავსაც გაიტანს და პროდუქციასაც შექმნის. დოვლათის წარმოების არავითარი პირობები არ არსებობს საქართველოში. ახლა დააკვირდით, როგორ აეწყო ჯაჭვი - კონკურენტუნარიან პროდუქციას ვერ ვქმნით, ამიტომ ვართ რუსულ ბაზარზე მიბმული და მთლიანად დამოკიდებული იმპორტზე.

- ხომ გახსნა ევროპამ ჩვენთვის ბაზარი?

- რა აზრი აქვს, იქ რომ გაიტანო, გაცილებით მეტი რესურსი, კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების პრაქტიკა და ფინანსები გჭირდება. ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული და გართულებული. ერთი ხელის მოსმით ვერაფერს შეცვლი. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ წარმოების წახალისებაც ცუდ დონეზეა ჩვენს ეკონომიკაში. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის გაკონტროლების გამო უამრავი კომპლექსური პრობლემაა, რასაც კატასტროფამდე მივყავართ.

- ეკონომიკა არც წინა ხელისუფლებების დროს იყო აღზევებული. რატომ არ ჰყოფნის ჩვენს ეგრეთ წოდებულ საშუალო ფენას ხელფასი, თუ ბილ გეიტსის შემდეგ აღარც ვითვლებით „საშუალოდ“?

- საჯარო მოხელეები არ წარმოადგენენ ამ ფენას. ჩვენი „საშუალო ფენა“ დამოკიდებულია მმართველ ელიტებზე, არადა, დამოუკიდებელი უნდა იყოს და თავად შეძლოს კაპიტალის გამომუშავება. უკეთ რომ აგიხსნათ: რევოლუციამდე კულაკობა წარმოადგენდა საშუალო ფენას.

- ანუ საშუალო ფენა საქართველოში არც კი არსებობს?

- იმ ნიშნებით თუ შევაფასებთ, რაც ზემოთ ვთქვი, გამოდის, რომ არ გვყავს, მაგრამ შეიძლება ამ მიმართულებით ემიგრანტების ნაწილი მივიჩნიოთ საშუალო კლასად, რომელმაც მოახერხა თავისუფალ ეკონომიკებში ადაპტირება და დამოუკიდებლად, საკუთარი შრომით ევროპასა და აშშ-ში ახერხებს ფინანსების გამომუშავებას. ამათ გარდა, საქართველოში, პრაქტიკულად, დამოუკიდებელი საშუალო კლასი არ არსებობს, აქედან გამომდინარე, არც სამუშაო ადგილები გვაქვს. მსოფლიო პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, სამუშაო ადგილების 80%-ს ქმნის სწორედ საშუალო კლასი. წვრილ ბიზნესშიც საქმდებიან მოქალაქეები დიდწილად და ამ ფენის შექმნილი დოვლათი შეადგენს სერიოზულ ძალას. ჩვენ, ასე ვთქვათ, ცალმხრივი ეკონომიკა გვაქვს. მსხვილი კაპიტალისტები არიან ბანკირები და სხვა, მათ კი სამუშაო ძალის მხოლოდ 20%-ის დასაქმება შეუძლიათ, რადგან მეტი არც სჭირდებათ. იქმნება ანომალიური სიტუაცია. ამას ემატება ისიც, რომ საქართველომ განზე გაწია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები და ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა რუსეთთან.

- თქვენ საკუთარ ფეისბუქვერდზე იმასაც აცხადებთ - მოსკოვი „შავი ბაზრის“ ციტადელიაო...

- კი, ნამდვილად არის, რადგან უპატრონოდ დარჩენილი სიმდიდრე, ოლიგარქიული კაპიტალი გადანაწილებულია საბჭოეთის ყოფილ ტერიტორიებზე. რუსი ოლიგარქი ძალიან უცნაური ვინმეა - კრემლის „პრიკაზჩიკია“, რადგან მას მიანდეს გარკვეული სფერო, მაგალითად, ოლეგ დერიპასკა ალუმინის მაგნატია და ამ ბიზნესის მეშვეობით ატარებს მოსკოვის პოლიტიკას სხვა ქვეყნებში. ოლიგარქები საკუთარი კაპიტალით იმდენად დიდ გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, რომ მათზე, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მიზეზით, ნადირობაც კი გამოაცხადეს. მეტსაც გეტყვით, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ოლიგარქების კლასი აყალიბებს იმ ნარატივებს, რასაც რუსეთის ფედერაცია ქმნის. აქედან გამომდინარეობს ყველა უბედურება, რაც გვჭირს, რადგან საქართველოც ამ ოლიგარქიული სისტემის ნაწილი გახდა.

- გინდათ თქვათ, რომ მოსკოვში ბირჟები არ არის?

- როგორ არა - სასაქონლოც, საფონდოც და სავალუტო ბირჟებიც არის, მაგრამ შეზღუდული აქვთ საქმიანობა, დამოუკიდებლობა არ აქვთ, კონტროლდება კრემლის და მსხვილი კაპიტალის მიერ. იგივე სჭირს ჩინეთსაც. იქაური ბირჟების სამართავი ბერკეტები აქვს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რითაც შეუძლია იქონიოს მათზე გავლენა. დემოკრატიული ქვეყნები იმით განსხვავდებიან ავტოკრატიულებისაგან, რომ სახელმწიფოს არ აქვს წვდომა ეკონომიკაზე.

- ანუ სახელმწიფოს რომელიმე დარგის განვითარების მიზნით ჩარევაც არ შეუძლია?

- შეუძლია, მაგრამ მხოლოდ ბაზრის გავლით. მაგალითად, „სამსუნგის“ კომპანიის 37% შესყიდული ჰქონდა სახელმწიფოს. როგორც კი წარმოება განვითარდა, „სამსუნგმა“ საკუთარი წილი მისგან გამოისყიდა, ანუ სახელმწიფომ, როგორც ბაზრის მონაწილემ, აქციები შეისყიდა, დაეხმარა კომპანიას და უფრო მაღალ ფასად გაყიდა ეს აქციები. ორივე მხარე მოგებული დარჩა. ამით იმის თქმა მინდა, რომ საბაზრო ეკონომიკა სასიცოცხლოდ გვჭირდება.

- გარდამავალ პერიოდს როგორ გაუძლებს ღატაკი ქვეყანა და მისი მოსახლეობა?

- მესმის, ბევრს აქვს მსგავსი შიში, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს აზრი მცდარია. როგორც კი დაკანონდება ფასიანი ქაღალდების კომისიის (საფონდო ბაზრის რეგულატორის) დამოუკიდებლობა და, პარალელურად, მიიღებენ მაღალი კლასის კანონებს ფინანსური სფეროს დასაცავად, ბანკებს აუკრძალავენ კომერციულ საქმიანობას, შვილობილი კომპანიების ყოლას და ბირჟების დაარსებაში

> *„როგორც კი დაკანონდება ფასიანი ქაღალდების კომისიის (საფონდო ბაზრის რეგულატორის) დამოუკიდებლობა და, პარალელურად, მიიღებენ მაღალი კლასის კანონებს ფინანსური სფეროს დასაცავად, ბანკებს აუკრძალავენ კომერციულ საქმიანობას, შვილობილი კომპანიების ყოლას და ბირჟების დაარსებაში მონაწილეობას, ყველაფერი დალაგდება, ანუ ბირჟებს აარსებენ თავად კომპანიები, ხოლო კომისია ბირჟების მოქმედების წესებს აწესებს. ამის უზარმაზარი გამოცდილებაა მსოფლიოში*

მონაწილეობას, ყველაფერი დალაგდება, ანუ ბირჟებს აარსებენ თავად კომპანიები, ხოლო კომისია ბირჟების მოქმედების წესებს აწესებს. ამის უზარმაზარი გამოცდილებაა მსოფლიოში, უარს არავინ გვეტყვის, პირველ ხანებში ყველა დაგვეხმარება. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: ყოველწლიურად ქართველები ტოტალიზატორებსა და კაზინოებში დაახლოებით ორ მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავენ. ესენი შეიძლება გამზადებულ ინვესტორებად ჩავთვალოთ. ამ ფულით მხოლოდ კაზინოთა მეპატრონეები ხეირობენ, არადა, შესაძლებელია ამ ხალხის გადამისამართება საფონდო ბირჟაზე, იგივე, ინაკლიის პორტის თუ სხვა კომპანიების აქციების შეთავაზება, ანუ როგორც ხდება მთელ ცივილიზებულ სამყაროში. ბროკერების მეშვეობით მოქალაქეები ყიდულობენ აქციებს და თვის ბოლოს იღებენ მოგებას ამ კომპანიებთან ერთად. ანუ, როგორც კი საფონდო ბირჟები დაიწყებს ფუნქციონირებას, ფუნდამენტურად სხვა განზომილებასა და განწყობაში გადადის ქვეყანა. მაქსიმუმ 2 წელიწადში, საქართველოს ვერ იცნობთ. ფერმერის მიერ წარმოებული მოსავალი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გაყიდულია მოსავლის მოყვანამდე, ანუ მაკლერი ამყარებს ურთიერთობას ფერმერთან, დებს მასთან კონტრაქტს, რომელსაც ყიდის სასაქონლე ბირჟაზე. ფერმერის საქმე მხოლოდ მოსავლის მოწევა და სასაქონლე სახით მყიდველისთვის დახვედრებაა, არ ფიქრობს, სად გაასაღოს და რა ქნას, რომ არ დაულპეს. ამ ვითარებაში ნებისმიერი ნაწარმის გაყიდვის პრობლემა მოიხსნება, თან ფასსაც დაადგენს ბაზარი ანუ საფონდო ბირჟები, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს საბაზრო მოედანს წარმოადგენს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროპის ბაზარზე და ნატოში არავინ შეგვიშვებს, თუ არ გვექნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. ეს იმის გარანტორია, რომ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ხელისუფლება მკაფიოდ იქნება გამოყოფილი, ხოლო სასამართლო, მხოლოდ კანონის უზენაესობას აღიარებს, ანუ საბაზრო ეკონომიკა დემოკრატიული წყობილების ფუნდამენტია.

- როგორ ხედავთ გეოპოლიტიკურ გადანაწილებას რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ?

- გეოპოლიტიკური წესრიგი ყველაზე მთავარი საკითხია. რუსეთის ფედერაციამ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დაიკავა მოძმე რესპუბლიკების ტერიტორიების ის ნაწილები, რომლის ოკუპირებაც შეძლო. იგივე უკრაინაში, საქართველოში, მოლდოვაში... ამას საფუძვლად ედო მოსკოვის სამომავლო გეოპოლიტიკური მიზანი, რაც გულისხმობდა ჩვენი ქვეყნების ნორმალური განვითარებისთვის ხელის შეშლას, ანუ ტვირთების გადაზიდვას აზიიდან ევროპაში და პირიქით, მოსკოვის გვერდის ავლით. კრემლს რომ არ დაეკარგა ამ პროცესებში ჰეგემონის როლი, სწორედ ამიტომ მოახდინა ზემოხსენებული მიწების ოკუპაცია. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ევროპა და რუსეთი, კონტინენტის წესრიგის გარანტორებად მიიჩნეოდნენ, რაც გულისხმობდა ერთპოლუსიან მსოფლიოს. ანუ ყველა აშშ-ს ეკითხებოდა ჭკუას. საქართველო-რუსეთის აგვისტოს ომმა კი დასავლეთს დაანახა, რომ რუსეთი გარანტორი არ იქნება. აშკარა გახდა, კრემლს აღმოსავლეთ ევროპაზე ბატონობის აღდგენა სურს, რისი მცდელობაც სწორედ ჩვენთან ომით დაიწყო, ამიტომ ერთპოლუსიანი წესრიგი შეცვალა მრავალპოლარულმა სამყარომ და კონტინენტზე დაიწყო ეგრეთ წოდებული აღმოსავლეთ პარტნიორობა, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ხდებიან ევროპის გეოპოლიტიკური წესრიგის გარანტორები. ამის შემდეგ ბრიტანეთი გადის ევროკავშირიდან და ახლახან თავადაც ნახეთ, რომ სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ ევროპას, შეიკრა ბრიტანეთი-პოლონეთი-უკრაინა. შემდეგი ნაბიჯი არის საქართველო, რადგან ჩვენს გარეშე ეს ღერძი ვერ შედგება. ამას ჰქვია აბრეშუმის გზის აღდგენა.

- მაინც, რატომ დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომი?

- მოსკოვს, ლიბერალური ადმინისტრაციის პირობებში, ყველა ვარიანტში მოუწევდა სანქციებით, ზეწოლით, იძულებით დაეტოვებინა როგორც საქართველო, ისე უკრაინა და მოლდოვა. ყველა ამ ქვეყნიდან მას ჯარები უნდა გაეყვანა. კრემლმა ეს კარგად იცოდა და ახალი მსოფლიო წესრიგის ხელშესაშლელად გააჩაღა ომი, თუმცა ისიცაა, რომ საპირისპირო შედეგი მიიღო, ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი დააჩქარა ამ ბარბაროსული, უსაზიზღრესი კონფლიქტით. რუსეთმა ყველანაირი ნიღაბი ჩამოიხსნა, რადგან ნებისმიერი ხერხით უნდა იმპერიის გადარჩენა. იმპერია ვერ გადარჩება ვერც ომით და ვერც მშვიდობით, ვინაიდან გადაწყვეტილება უკვე მიღებულია - როდესაც ბაიდენი და ჯონსონი აცხადებენ, რომ რუსეთი უკრაინაში ვერ გაიმარჯვებს, ეს ნიშნავს, რომ ვერ გაიმარჯვებს, ამიტომ უდგას უკრაინელებს მთელი მსოფლიო გვერდით, რადგან სწორედ უკრაინაში უნდა დაიმსხვრეს ეს იმპერია საბოლოოდ, რომლის ადგილას შეიქმნება ბევრი ახალი ეთნიკური სახელმწიფო: იაკუტების, ჩეჩნების, დაღესტნელების, ბაშკირების... ახლა ჩვენ თვალწინ ხდება ის, რაც ხუთი საუკუნე არ გვეღირსა ქართველებს - „აბრეშუმის გზა“ აღდგება 500 წლის შემდეგ! კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, როგორც კი დაიკეტა ეს გზა, საქართველო დარჩა გეოპოლიტიკურ ორღობეში. როგორც ჩვენ, ისე კიევს ერთიანი და მთლიანი სახელმწიფოს ქონის შანსი გეოპოლიტიკურად არ გვქონდა, ამიტომ ჩვენი ყველა მცდელობა ისევე იყო განწირული, როგორც ის ჩვენი პირველი რესპუბლიკაც.

- და ახლა გვაქვს ყველაფრის აღდგენის შანსი?

- ნამდვილად! ახლა კონტინენტის მთავარი ღერძი, მოსკოვის ნაცვლად, კიევი და თბილისი ხდება. ევროპიდან აზიაში ყველაზე მოკლე და მომგებიანი გზა კიევსა და თბილისზე გადის. კონტინენტის ქვეყნების ინტერესებშია, ნორმალური გზით ივაჭროს ევროპამ აზიასთან. აქვე არც ის დაგავიწყდეთ, რომ აბრეშუმის გზა ვერ შედგება, თუ უკრაინაც და საქართველოც არ ვიქნებით ლიბერალ-დემოკრატიული ანუ გლობალური თავისუფალი ბაზრის მონაწილე ქვეყნები. აბრეშუმის გზა არის ჩვენი გადარჩენაც, ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობაც, თავისუფლების გარანტიაცა და მნიშვნელობაც, რადგან უკვე ჩვენ წარვსდგებით სხვა ქვეყნების წინაშე ბევრი რამის გარანტორებად.

„სიმღერის საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოცემა ყველას არ შეუძლია“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საღამოზე **„სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“** მოვიდა ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ფოლკლორი და ის ახალგაზრდა ბათუმელი, რომელიც გულიანად ემსახურება ჩვენი ეროვნული საგანძურის გადარჩენასა და განვითარებას. მათ შორის იყვნენ კოლეგები, მეგობრები, სტუდენტები, მასწავლებლები.

ლოტბარი გიორგი ჩხარტიშვილი ამჟამად აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელია, ამავდროულად მუსიკალური ცენტრის კაპელის წევრიცაა, ასევე, ამ დარგის პედაგოგიც - ახალგაზრდა თაობას აზიარებს იმას, რის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია საქართველო, საკათედრო ტაძრის მგალობელიცაა, ამასთან, თანამშრომლობს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრთან.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობას დაეუფლა. იმავდროულად ეუფლებოდა ჯერ ფორტეპიანოს, შემდეგ ვოკალს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სასწავლებელში. ამაყობს, რომ მისი პედაგოგები იყვნენ მურმან მახარაძე და ალეკო ქავთარაძე, კაპელაში - ქორმაისტერი ავთანდილ ჩხენკელი, ასევე ქეთევან მანელიშვილი, ამჟამად კი ლელა დოლიძე და რუსუდან ბერიძე.

ეს იყო ძალიან თბილი საღამო, რომელზეც არა მხოლოდ გიორგი ჩხარტიშვილის შემოქმედება წარმოჩნდა, არამედ ქართული ხალხური შემოქმედების საგანძურის ყველა მოყვარე. ამბობს, რომ ადრე მორიდებული ბიჭუნა სტუდენტობამ გაათამამა. თითქმის ყველა საღამოზე გამოდიოდა. მხიარულთა და საზრიანთა გუნდშიც იყო. მერე მუსიკას დაუბრუნდა. სიყვარულით იხსენებს იმათ, ვისთანაც მოუწია ურთიერთობა - აწ განსვენებული ალეკო ქავთარაძესა და მურმან მახარაძეს...

- ასეთი რამ უნდა გავიხსენო. რატომღაც მეგონა, რომ ნაყინი ყელისთვის კარგი იყო და ყველა რეპეტიციის წინ მივირთმევდი. ბატონი მურმანი სულ მეკითხებოდა: „პახმელიაზე“ ხომ არ ხარო... ერთხელ საუბარში ვუთხარი, რომ რეპეტიციების წინ ნაყინს მივირთმევდი. გაგიყდა და ამიხსნა, რატომ არ უნდა მოვქცეულიყავი ასე. ანსამბლ „ბათუმის“ საიუბილეო კონცერტზე რომ ვიმღერეთ, შეგვაქო, რამაც ძალიან გაგვახარა. მერე კაპელაში ჩავირიცხე. აქ უკვე 20 წელია ვარ, რომ ამაგე გაიხსენეს გულთბილად. სწორედ მათი საქმის შესანიშნავი გამგრძელებელია გიორგი, რაც არ გამორჩენია პოეტ ვახტანგ ღლონტს, ამიტომაც მიიწვია ახალგაზრდა შემოქმედი მასთან, საქვეყნოდ მოეფერა და მადლობაც უთხრა.

გიორგიმ აღნიშნა, რომ საკუთარ თავზე საუბარი ძნელია, სამაგიეროდ მისი საქმეები საღამოზე მოსულმა მრავალრიცხოვანმა მეგობარ-კოლეგებმა წარმოაჩინეს.

საღამოს გმირმა გაიხსენა როგორ დაუკავშირდა მუსიკას. პირველი კლასის მოსწავლემ მუსიკის წრეში ჩაწერა სთხოვა დედას. ვიოლინოს შესწავლა სურდა, მაგრამ ფორტეპიანოს პედაგოგთან ჟანა კოსოიანთან მიიყვანეს, რომელიც წითელ პომადას ისვამდა და თუ პატარა გიორგი სახლში ლოყებაწითლებული მივიდოდა, ესე იგი გამოცდა კარგად ჩაბარა. ჯგუფში ერთი ბიჭი იყო და მასწავლებელს უხაროდა, როცა კარგად აბარებდა. პარალელურად ჭიდაობაზეც დადიოდა, სპორტულ შეკრებებზე წასვლაში მუსიკის გაკვეთილები ხელს უშლიდა, ამიტომ აცდენდა... ეგონა, რომ მუსიკას აღარ გაჰყვებოდა, მაგრამ სკოლა ფორტეპიანოს განხრით დაამთავრა. ამბობს, რომ ადრე მორიდებული ბიჭუნა სტუდენტობამ გაათამამა. თითქმის ყველა საღამოზე გამოდიოდა. მხიარულთა და საზრიანთა გუნდშიც იყო. მერე მუსიკას დაუბრუნდა. სიყვარულით იხსენებს იმათ, ვისთანაც მოუწია ურთიერთობა - აწ განსვენებული ალეკო ქავთარაძესა და მურმან მახარაძეს...

- ასეთი რამ უნდა გავიხსენო. რატომღაც მეგონა, რომ ნაყინი ყელისთვის კარგი იყო და ყველა რეპეტიციის წინ მივირთმევდი. ბატონი მურმანი სულ მეკითხებოდა: „პახმელიაზე“ ხომ არ ხარო... ერთხელ საუბარში ვუთხარი, რომ რეპეტიციების წინ ნაყინს მივირთმევდი. გაგიყდა და ამიხსნა, რატომ არ უნდა მოვქცეულიყავი ასე. ანსამბლ „ბათუმის“ საიუბილეო კონცერტზე რომ ვიმღერეთ, შეგვაქო, რამაც ძალიან გაგვახარა. მერე კაპელაში ჩავირიცხე. აქ უკვე 20 წელია ვარ, რომ მოვედი, თბილისის კონცერტისთვის ემზადებოდნენ. ავთანდილ ჩხენკელმა შემამოწმა. ვიცოდი, რომ თავიდან ნახევარ განაკვეთზე უნდა მივედე, მაგრამ მთლიან განაკვეთზე დამნიშნეს, რამაც დიდად გამახარა. პროფესიონალებთან მომიწია მუშაობა, მათგან ძალიან ბევრი ვისწავლე. შემოქმედებითად გავიზარდე. სახელმწიფო ანსამბლში მეორედ (პირველად ცოტა ხნით ვიყავი) თამაზ ბეჟანიძის დროს მივედი. მას ჯანმრთელობა რომ შეეყა, ხშირად ვეხმარებოდი, გვერდით ვედექი. ქორეოგრაფ ამირან პაიჭაძის სარეპეტიციო ოთახში ვიკრიბებოდით და იქ ვემზადებოდით. მაშინ ვეზიარე ნამდვილ ხალხურ ხელოვნებას. ცოტა ხნის შემდეგ ანსამბლში კონსულტანტად გურამ თამაზაშვილი მოიყვანეს. იმ დროს ჩამოვიდა, როცა რუსლან გვაზავას, შესანიშნავ ადამიანს, ჯანმრთელობამ უმტყუნა. გურამი ყველა სიმღერას ამოწმებდა. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვმღეროდით გურულ სიმღერებს. კონსულტაციას გვიწევდა. მისი წვლილია იმაში, რომ მე თამაზ ბეჟანიძემ ანსამბლის ხელმძღვანელად დამნიშნა. ძალიან ახლოს ვიყავით მასთან, ვმეგობრობდით და ამით ვამაყობ. სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. მერე რუსლანი გახდა ავად. სამეგრელოში მეგრული სიმღერების ფესტივალი ტარდებოდა, ბიზნესმენ ბუკიას თანადგომით, მას გომარ სიხარულიძე და ანზორ ერქომაიშვილი ეხმარებოდნენ. თამაზ ბეჟანიძის მხარში დგომით წავედით, თემურ დოლიძემ მოგვამზადა და.... იქ სუფრასთანაც

> *ის დიდი სიყვარულით უძღვება თავის საქმეს. სიყვარულის გარეშე ერთი სიმღერის რამდენიმე ვარიანტს ვერ შეისწავლი. არადა, ეს აუცილებელია, რადგან სასიმღერო მრავალფეროვნება გუნდს ამშვენებს. მასთან საქმიანი ურთიერთობა ძალიან იოლია. ლოტბარი და ქორეოგრაფი ანსამბლში შეხმატკბილებულად რომ მუშაობს, ყველაფერი კარგად გამოდის. მადლობა მას ამ კარგი საქმისთვის. ყველაფერთან ერთად არის ძალიან თავმდაბალი, უშუალო, საუკეთესო მეგობარი*

გამოვიჩინეთ თავი. ამისთვის თამაზ ბეჟანიძეს მადლობას უხდიდნენ. ეს ის პერიოდია, როცა ბათუმში „ქეთო და კოტე“ იდგმებოდა და ჩვენი ბიჭებიც მღეროდნენ. დროულად ჩამოვედით, აქაც არ „გავაფუჭეთ“ საქმე, - გაიხსენა გიორგი ჩხარტიშვილმა.

იმ დღეს ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ახალგაზრდა და ნიჭიერი ხელოვანის მისამართით.

- გიორგი ჩხარტიშვილი ბევრისგან გამოირჩევა ნიჭიერებით და საქმისადმი სერიოზული მიდგომით, არასოდეს დაგაღალატებს. მისი გაკეთებული საქმე ყოველთვის ხარისხიანია. სიმღერის საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოცემა ყველას არ შეუძლია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობა უფალს, რომ ასეთები გვყვანან. გიორგიც მათ შორისაა. მას მოძიებული აქვს ვარიანტები, რომლებსაც შესანიშნავად გადმოსცემს. თავადაც ნიჭიერია და სხვის ნიჭიერებასაც ძალიან აფასებს. მე მისი დიდი გულშემატკივარი ვარ. მადლობა მინდა ვუთხრა ვახტანგ ღლონტს, რომ ასეთ საღამოებს ატარებს, ეს საჭირო საქმეა, - აღნიშნა ბათუმის ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილე ქეთევან მანელიშვილმა.

- მეგრული სიმღერების ფესტივალში გიორგის ანსამბლმა რომ მიიღო მონაწილეობა, მისი შესრულება ყველას მოეწონა. ძალიან კარგად მუშაობს. „მშურს“ მისი. რამდენჯერ მიფიქრია, გვერდში დავიყენებ-მეთქი, მაგრამ... არა, ის შესანიშნავად აკეთებს თავის საქმეს. კარგი ბიჭები ჰყავს და ბედნიერი ვარ, რომ მისი ხელმძღვანელობით აჭარას ჰყავს ერთ-ერთი შესანიშნავი ანსამბლი „არსიანი“, - აღნიშნა ცნობილმა ლოტბარმა თემურ დოლიძემ.

- მეგობრები ვართ, წლებია ერთად მოვდივართ. ის დიდი სიყვარულით უძღვება თავის საქმეს. სიყვარულის გარეშე ერთი სიმღერის რამდენიმე ვარიანტს ვერ შეისწავლი. არადა, ეს აუცილებელია, რადგან სასიმღერო მრავალფეროვნება გუნდს ამშვენებს. მასთან საქმიანი ურთიერთობა ძალიან იოლია. ლოტბარი და ქორეოგრაფი ანსამბლში შეხმატკბილებულად რომ მუშაობს, ყველაფერი კარგად გამოდის. მადლობა მას ამ კარგი საქმისთვის. ყველაფერთან ერთად არის ძალიან თავმდაბალი, უშუალო, საუკეთესო მეგობარი, - აღნიშნა ქორეოგრაფმა გოგიტა ჭანიშვილმა.

- ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელია. დღეს ჩემი მეგობრების სახელითაც გამოვდივარ, რომლებიც გიორგი მასწავლებლის დამსახურებით იმ კიდობანში მოვხვდით, სადაც სიყვარულით ვეზიარეთ ქართულ ფოლკლორს. თუ მსმენელს არ ჩაიყვან იმ სიღრმეში, რასაც ქართული ხალხური სიმღერა გულისხმობს, ბიბლიურ დრამატურგიულობამდე თუ არ მიიყვან, რასაც თავისთავში მოიცავს და ისე არ მიაწოდებ მომავალ თაობებს, ეს არ იქნება საფუძვლიანი. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მე ამ ხელოვნებას ვეზიარე, - სასწავლებელში ჩავაბარე. უსაზღვროა მისი შრომა, რომელიც ჩვენთვის გასწია. მისი ყოველი სიტყვა ისე ახლოს მიგვქონდა გულთან, რომ რთულ სიმღერებსაც მარტივად ვიგებდით. მისი რჩევით მივუახლოვდი და ვსწავლობ ქართულ ფოლკლორს და ამისთვის მუდამ მადლიერი ვიქნები, - აღნიშნა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტმა გიორგი მესხურაძემ.

- ხშირად ერთმანეთში ვურევთ მუშაობას და მოღვაწეობას. ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივად ვმუშაობთ, ამას ვარქმევთ მოღვაწეობას. არადა მოღვაწეობენ სწორედ გიორგისნაირი ადამიანები და მისი „მოღვაწეობა“ ჩვენ დღეს ვნახეთ, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.

- გიორგიმ ახალი სიტყვა თქვა, საკუთარი ხელწერა უკვე დაატყო ანსამბლ „არსიანს“, რომელიც ახლა არა მარტო ცეკვით, არამედ სიმღერითაც გამოირჩევა. ძველის შენარჩუნებით, ახლის შემოტანით, სიმღერების გამრავალფეროვნებით ძალიან კარგ საქმეს აკეთებს. სასიხარულოა, რომ ის სიყვარულით ასწავლის ახალგაზრდა თაობას ხალხურ სიმღერას, - თქვა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელმა მადონა თევზაძემ.

- აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის, სადაც ორი წელია ასწავლის ქართულ ხალხურ სიმღერას, გიორგი ნამდვილად დიდი შენაძენია. გვიხარია, რომ ამ დარგს მისი სახით კარგი პატრონი გამოუჩნდა. თაობათა ცვლა აუცილებელია. ფოლკლორი იმიტომაც არ კვდება, მას ავთენტურადაც შენარჩუნება უნდა, გიორგი ამას კარგად ახერხებს. მადლობა მას ამისთვის. ძალიან კარგია, რომ ის უფრო ახლოს გააცანით საზოგადოებას, - აღნიშნა აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის დირექტორმა ვახტანგ ბერიძემ.

- დღევანდელ საღამოზე შევეცადე ყველა მომეწვია, სადაც ვმოღვაწეობ - ტაძრიდან, კოლეჯიდან, სტუდენტები უნივერსიტეტიდან. ძალიან კმაყოფილი ვარ და მიხარია, რომ ვახტანგ ღლონტის საღამოების ერთ-ერთი გმირი მეც გავხდი. მადლობა მას და ყველას, ვინც დღეს დამაფასა და ვინც ვერ მოახერხა მოსვლა, - თქვა გიორგი ჩხარტიშვილმა.

რა თქმა უნდა, საღამოზე ქართული ხალხური საგანძურის არაერთი შედევრი მოვისმინეთ ყველა თაობის წარმომადგენლის შესრულებით და ის, რომ თითოეული სიმღერა მაღალ პროფესიონალურ დონეზე იყო შესრულებული, სწორედ გიორგი ჩხარტიშვილისა და მისი უფროსი და უმცროსი კოლეგების დამსახურებაა.

მუხლჩაუხრელად ემსახურება თავის ქვეყანას

დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა წარმატებულ ქართველ მეცნიერს, ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, ღირსეულ მამულიშვილს, ფარმაციის დოქტორს, პროფესორ ვლადიმერ მახარაძეს. შუახევის რაიონის სოფელ მახალაკიძეებელ მახარაძეებს წარმატებული და გამორჩეული მამულიშვილები არ აკლიათ, მათ ყველა დროში სასახელო ფურცელი ჩაწერეს ერის ისტორიაში. მერი მანელიშვილსა და ისრაფილ მახარაძეს საამაყოდ ისიც ეყოფათ, რომ 5 ვაჟი და 2 ქალიშვილი გაზარდეს. მათგან ორი ვაჟი პროფესორია, ერთი - მწერალი, ერთი - ცნობილი ბიზნესმენი, ერთიც - მშენებელი და ფერმერი. სანიმუშო ოჯახები აქვთ ქალიშვილებს. მარეთის ხეობაში ვლადიმერი მეორეა, რომელმაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაციის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა.

- ჩვენი თაობა გამორჩეული იყო. იმხანად დედაქალაქში მარეთის ხეობიდან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში 150-ზე მეტი სტუდენტი და ასპირანტი ვიმაღლებდით ცოდნას. ალიოშა ბაკურიძე, ტარიელ ფუტკარაძე, ვლადიმერ მახარაძე ყველაფერში სტიმულის მომცემნი იყვნენ, - იგონებს ცნობილი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ცეცხლაძე.

წელიწადის ულამაზეს დროს - გაზაფხულზე დაბადებულს, განგებამ ყველაფერი ლამაზი დაანათლა. იგი უხდება ქალაქს, ოჯახს, საზოგადოებრივ თავყრილობებს მისთვის დამახასიათებელი ინტელიგენტური ხიბლით, მაღალადამიანური ღირსებებით, კაცურკაცობითა და ჭეშმარიტი მამულიშვილობით.

შინაარსიანი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლო. თანაბრად, აქტიურად იღვაწა, იღვწის და იხარჯება როგორც ფარმაცევტი და პედაგოგი, მეცნიერ-მკვლევარი და მენეჯერი, რედაქტორი და პუბლიცისტი, წარმატებული ბიზნესმენი და ქველმოქმედი, დეპუტატი და საზოგადო მოღვაწე, ჩოხოსანი რაინდი, სპორტის ქომაგი და მფარველი, ლიტერატურული და სასკოლო პრემიების დამაარსებელი და მუდმივი სპონსორი.

სიტყვის და საქმის კაცს, გულითადობა და ზნეკეთილობა, მაღალი ინტელექტი, ორგანიზატორული ნიჭი, ნათელი გონება, ლამაზი სული და კიდევ - არისტოკრატული, დახვეწილი მანერები და ადამიანებთან ურთიერთობის დიდი ნიჭი დააბერტყა უფალმა.

სამსახურებრივ სარბიელზე შინაარსიანი და ღირსეული გზა განვლო. იყო ხელვაჩაურის რაიონის ცენტრალური რაიონული აფთიაქის უფროსი პროვიზორი, საბჭოთა არმიის ოფიცერი, 2 წლის განმავლობაში - აჭარის საფთიაქო სამმართველოს გასაღების განყოფილების უფროსი, საიდანაც აჭარის ცენტრალური საფთიაქო ბაზის დირექტორად დააწინაურეს. 6 წელი ბათუმის №10 აფთიაქის მმართველი გახლდათ. არჩეული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად.

ვლადიმერი წარმატებული ქართველი ბიზნესმენია. მხოლოდ კეთილშობილ, მამულის სიყვარულით გულანთებულ მამულიშვილს შესწევს უნარი, ასე უმწიკვლოდ და მუხლჩაუხრელად ემსახუროს თავის ქვეყანას. მან 32 წლის წინათ დააფუძნა ფარმაცევტული კომპანია „ჰეკატე“, რომელიც უხუცესია საქართველოში და რომლის უცვლელი გენერალური დირექტორია. კომპანია აერთიანებს 10 აფთიაქს, საბითუმო ფარმაცევტულ ბაზას, საფთიაქო სუპერმარკეტს და სასტუმროს.

სხვადასხვა წელს არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ყრილობების დელეგატად. არის საქართველოს ფარმაცევტთა I საერთაშორისო კონგრესის წევრი. აჭარიდან პირველს ერგო პატივი, ყოფილიყო პირველი საერთაშორისო კონგრესის - „ჯანმრთელობა და წამალი“ და ასთმის ევროპის მეორე კონგრესის, ფარმაცევტთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილე. არის აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის დაარსების ინიციატორი და ხელმძღვანელი 1996 წლიდან. გაზეთ „ფარმაკონის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია 2005 წლიდან, ჟურნალ „ფარმაცევტული მაცნესა“ და გაზეთ „შუახევის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი. არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად და ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად.

- განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენს ქართული ბეჭდვითი მედიისადმი. მის სამუშაო ოფისში ნახავთ თბილისსა და ბათუმში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებს. ბათუმელებს ისიც გვახსოვს, როცა უხუცეს გაზეთ „აჭარას“ გაუქმებით ემუქრებოდნენ როგორ აღიმაღლა ხმა ბატონმა ვლადიმერმა. დღემდე ამ გაზეთის აქტიური მკითხველი და ქომაგია, - თქვა მწერალმა ემენ დავითაძემ.

ვლადიმერ მახარაძე საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, სამშობლოს სადარაჯოზე მდგომი პატრიოტი, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული, აქტიური და ღირსეული წევრი, წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელია. მისთვის ყოველთვის უპირველესი იყო და არის წიგნი. ის ამ მხრივ სამაგალითო და მისაბაძია. ბატონი ვლადიმერის ბიბლიოთეკა საქართველოში ერთ-ერთი უდიდესია

ვლადიმერ მახარაძის ინიციატივით, 2003 წლის ივლისში, აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის IV კონფერენციაზე, 2 ოქტომბერი გამოცხადდა ფარმაცევტის დღედ. იგი აღიარა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმმა. მანვე შეიმუშავა „ფარმაცევტის ფიცის“ ტექსტი და ფარმაცევტის ეთიკური კოდექსი. მისი ეს ორივე ინიციატივა მოიწონა და მიიღო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის II ყრილობამ 2005 წლის ივლისში.

2004 წლიდან დღემდე არის აჭარის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების აჭარა-ლაზეთის სადროშოს გამგეობის წევრი, სსიპ „აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატის“ საბჭოს წევრი.

ბიზნესის პარალელურად ეწევა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას. 2004 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მან პროფესორ რამაზ სურმანიძესთან ერთად, 1991 წელს დააარსა ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი. 1997-2006 წლებში იყო ამ ინსტიტუტის სოციალური ფარმაციის კათედრის გამგე, 2010-2011 წლებში - რექტორი. ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ფარმაციის დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი. ახლაც სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის 12 წიგნის, მათ შორის 3 სახელმძღვანელოს, 25 სამეცნიერო ნაშრომისა და 200-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ადმინისტრაციული და სოციალური ფარმაცია. გამოიჩრჩევა აქტიური საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობით. არის აჭარის მწერალთა კავშირთან არსებული პოეტ ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული პრემიის, ასევე მრავალი სასკოლო თუ სხვა სახის პრემიების ერთ-ერთი დამაარსებელი და მუდმივი სპონსორი. ბატონი ვლადიმერისა და სხვა მარეთელების ინიციატივით, ხეობის წარჩინებულ მოსწავლეებზე გაიცემოდა სტიპენდიები. არის „საპატიო მარეთელის“ წოდების მფლობელი.

ვლადიმერ მახარაძე ქართული სიტყვის უბადლო ოსტატია. პოეზიის შედევრებს აცნობს და ქართული ენის ხიბლს აზიარებს ფართო საზოგადოებას. მსმენელს ხიბლავს მის მიერ წაკითხული პოეზიის ნიმუშები.

- ბატონმა ვლადიმერმა მაღალი ოსტატობით წაკითხული ლექსითა და კარგი თამადობით დამამახსოვრა თავი. ერთმანეთთან პოეტმა ზურაბ გორგილაძემ დაგვამეგობრა. იგი ამ სახელოვანი პოეტის შემოქმედებას კარგად იცნობს და მისი ლექსების უმრავლესობა ზეპირად იცის. ზურაბ გორგილაძის პრემიის დაარსებაც მისი ინიციატივა იყო. ამ პრემიის მფლობელი მეც გახლავართ, ესეც ჩემი მეგობრისა და კოლეგის დამსახურებაა. მიხარია, აჭარაში ბატონ ვლადიმერის სახით, გულისხმიერი მეგობარი რომ მეგულება,- გვითხრა ქუთაისელმა ექიმმა მერაბ კვიცარიძემ.

ბატონი ვლადიმერი სპორტის ქომაგი და მფარველიცაა, განსაკუთრებით - ქართული ჭიდაობის. არჩეული იყო აჭარის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად, აჭარის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ქართული ჭიდაობის აჭარის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად და გამგეობის წევრად. 12 წელია ტარდება მისი სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. დაჯილდოებულია - აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის საიუბილეო მედლით, ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი პირადი წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური საზოგადო მოღვაწეობისათვის - იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და საპატიო სიგელით. პოეტ ზურაბ გორგილაძის შემოქმედების პოპულარიზაციისათვის, 2013 წელს მიენიჭა ზურაბ გორგილაძის სახელობის პრემია ლიტერატურის დარგში, წიგნისათვის - „მედიცინა და ფარმაცია ხატოვან აზროვნებაში“, ასევე აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემიის ლაურეატია. არის მრავალი საპატიო სიგელის, დიპლომისა და სერტიფიკატის მფლობელი. მინიჭებული აქვს წლის საუკეთესო ფარმაცევტ-ორგანიზატორის წოდება. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ 2004 წელს დააჯილდოვა როგორც წლის „საუკეთესო ბიზნესმენი“. მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „საქართველოს სამედიცინო კალენდარი“, ხოლო ოჯახი შეტანილია წიგნში „საქართველოს საპატიო ოჯახები“.

სიყვარულით გამთბარი და სტუმარ-მასპინძლობით გამორჩეული ოჯახი შექმნა. ცხოვრების ერთგულ და მოსიყვარულე მეგზურ ფატი ფუტკარაძესთან ერთად, ორი სამაგალითო შვილი აღუზარდა ქვეყანას. შვილიშვილები ულამაზებენ და უხალისებენ ცხოვრებას.

ვლადიმერ მახარაძე საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, სამშობლოს სადარაჯოზე მდგომი პატრიოტი, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული, აქტიური და ღირსეული წევრი, წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელია. მისთვის ყოველთვის უპირველესი იყო და არის წიგნი. ის ამ მხრივ სამაგალითო და მისაბაძია. ბატონი ვლადიმერის ბიბლიოთეკა საქართველოში ერთ-ერთი უდიდესია, აქ ათი ათასზე მეტი წიგნია თავმოყრილი. მას ხშირად ნახავთ წიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებზე, ბიბლიოთეკებში. გვიკვირს კიდეც, როგორ ასწრებს ამას ბიზნესითა და ყოველდღიურობით გადატვირთული მზრუნველი და მეურნე კაცი. რაკი მეურნე ვახსენეთ, აქვე ვიტყვით, რომ ბატონი ვლადიმერი ვაზისა და ციტრუსის ნაკვეთებს ფლობს და თვითონ უვლის მას. მოსავალიც ჩინებული აქვს და კარგ ღვინსაც აყენებს.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული სიტყვის გამორჩეული ქომაგია. ამის დასტურად, მოვიყვანთ აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ცნობილი პოეტის, ბატონ დავით თედორაძის სიტყვებს: „ჩვენ ვწერთ - ვლადიმერი კი კითხულობს და ახმოვანებსო“. ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქართული მწერლობის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ქართული კულტურის ქომაგის წოდება მიანიჭა და გადასცა სათანადო დიპლომი.

ვლადიმერ მახარაძე მეგობრობის ნიჭით გამორჩეული მთიელია, საოცრად ყურადღებიანი, ტკივილის გულთან მიმტანი, ჭირის შემმსუბუქებელი და ლხინის დამამშვენებელი. მისი ქართული სუფრისადმი დამოკიდებულება და სუფრის ხელმძღვანელობა საყოველთაოდ აღიარებულია, ამ მხრივაც აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს. მისი თამადობის დროს ქართული სუფრა ნამდვილი აკადემიაა, ის ხალისიანი, იუმორით სავსე, უბადლო ორატორია. იგი მუდამ ქართული საქმის კეთებითაა დაკავებული, უხდება და ამშვენებს ქათქათა ბათუმს და მის უსაყვარლეს ქვეყანას.

დღეგრძელობა, სითბო და სიყვარული არ მოკლებოდეს ცხოვრების გზაზე!

ვუსურვებთ 65 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობასა და შემდგომ წარმატებებს ქართული ფარმაციისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მამული და ოჯახი დაგილოცოთ უფალმა!

აკაკი მახარაძე,
ოთარ ცინარიძე

„ვუსურვებ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს მშვიდობის დამყარებას, ომის მალე დასრულებას და სახლებში დაბრუნებას“

ეს სიტყვები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის, რომლებიც გუშინ მიხეილ გრუშევსკის სახელობის 41-ე საჯარო სკოლაში უკრაინელ მოსწავლეებთან შეხვედრის შემდეგ წარმოთქვა.

„ძალიან სიმბოლურია, რომ სწორედ დღეს სკოლაში მოვინახულე პირველკლასელები ჩემს შვილებთან ერთად, რომლებიც ასევე პირველკლასელები არიან. ჩვენ ის ტკივილი, რასაც ახლა განიცდიან, გამოცდილი გვაქვს არაერთგზის და მე ვუსურვებ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს მშვიდობის დამყარებას, ომის მალე დასრულებას და, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, სახლებში დაბრუნებას მშვიდობიანად. ჩვენი მოსახლეობა, ჩვენი ხალხი მაქსიმუმს აკეთებს - ჩვენ ვართ 190 ქვეყანას შორის პირველ ადგილზე, რომელმაც 500 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი გააგზავნა უკრაინაში. რა თქმა უნდა, უკრაინის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, ჩვენ მაქსიმალურ მხარდაჭერას და ყურადღებას გამოვხატავთ და ეს მხარდაჭერა გაგრძელდება მომავალშიც“, - აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, 41-ე საჯარო სკოლის უკრაინულენოვანი სექტორის ყველა მოსწავლეს ნოუთბუქები და სააღდგომო საჩუქრები გადაეცა. მთავრობის მეთაურს სასწავლო პირობების შესახებ ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა მიაწოდა და აღნიშნა, რომ სამინისტროს გუნდმა დაუღალავი შრომის შედეგად თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში 2 კვირაში აღადგინა უკრაინულენოვანი სექტორი, რომელიც 2011 წლის შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა. აქ პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით უკრაინულ ენაზე წარიმართება სასწავლო პროცესი. მოსწავლეებს სკოლაში დახვდათ უკრაინული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საბავშვო და საყმაწვილო უკრაინული ლიტერატურით. საქართველოში უკრაინის საელჩოსთან მჭიდრო თანამშრომლობით ყველა საგნისთვის კვალიფიციური პედაგოგები შეირჩნენ, მათ შორის არიან, როგორც უკრაინიდან ბოლო პერიოდში ჩამოსული, ისე ადგილობრივი უკრაინულენოვანი სპეციალისტები.

მასწავლებლებისთვის ანაზღაურებას საქართველოს მთავრობა ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი დატვირთვის შესაბამისად უზრუნველყოფს. უკრაინულენოვან სექტორზე სწავლის სურვილი დღეისათვის 211-მა მოსწავლემ გამოთქვა. მათი რაოდენობა ყოველდღიურად მზარდია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა მოსწავლე საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოებითა და „ბუკებით“ უზრუნველყო. ბავშვები სამინისტროსა და მობილურ ოპერატორებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მობილური ინტერნეტპაკეტის შეღავათიანი პირობებით სარგებლობენ. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები, რომლებიც უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების გამო ვერ აგრძელებენ ზოგადი განათლების მიღებას უკრაინის სკოლებში და გამოხატავენ სწავლის საქართველოში გაგრძელების სურვილს, სკოლებში გამარტივებული წესით ირიცხებიან. ამ დროისათვის არსებული მონაცემებით, თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა ასაკის 668 მოსწავლე უკვე ჩარიცხულია.

ამირან გურიელიძე

ამირან მამულაძე – 80



პედაგოგს, სახელმწიფო-სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე ამირან ნურის ძე მამულაძეს დაბადებიდან 80 და შრომითი მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა. ის აჭარაში (და არამარტო) საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნებაა, რომელიც პატრიოტ მამულიშვილთა იმ თაობას ეკუთვნის, ღირსეულად რომ აგრძელებს „ხიხანის საარწივოს“ გამოჩენილ მამულიშვილთა სახელოვან ტრადიციებს და თავისი ნაყოფიერი საქმიანობითა და ადამიანური თვისებებით მათი ღირსეული მემკვიდრეა.

ამირან მამულაძე დაიბადა 1942 წლის 22 აპრილს ხულოს რაიონის ისტორიულ სოფელ კალოთაში, 14-შვილიან ოჯახში. მძიმე იყო მისი ბავშვობის წლები. ფაშიზმის წინააღმდეგ ომი მძვინვარებდა. უჭირდა ქვეყანას, სოფელს, მის ოჯახს. მშობლები: გმირი დედა - ფაქინაზი, მამა - ნური მამულაძე შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე, გაჭირვებულთა დამხმარე და თანამდგომი ადამიანები იყვნენ. ეს თვისებები ტრადიციულად შვილებსაც გამოჰყვათ.

ამირანმა 1956 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის - კალოთის 7-წლიანი, 1958 წელს - ხიხაძირის საშუალო სკოლა. იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ სამუშაო სტაჟი არ ჰქონდა (მაშინ ეს აუცილებელი მოთხოვნა იყო) და ვერ ჩაირიცხა. დიმიტრი ხოზრევანიძის რჩევით, ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა, რომელიც საქონელმცოდნის დიპლომით დაამთავრა. შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურიც მოიხადა და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილმა, შრომითი საქმიანობა დაიწყო. ის ქალაქში გადმოდის საცხოვრებლად და 1963 წელს დაინიშნა „ბათუმსურსათვაჭრობის“ საიუველირო მაღაზიის გამგედ. ქალაქში მიეცა შრომითი საქმიანობის გაფართოების საშუალება, პარალელურად, აირჩიეს ბათუმის „სურსათვაჭრობის“ სისტემაში კომკავშირის კომიტეტის მდივნად. იგი ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს განყოფილების ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სწავლასთან ერთად სამუშაოდ გადავიდა ბათუმის 144-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ და მათემატიკის მასწავლებლად. ამავე დროს აირჩიეს ბათუმის მეხუთე სამშენებლო ტრესტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად.

ამირან მამულაძე თავის საქმეს ინტერესით და ენთუზიაზმით ასრულებდა. მისი მუშაობა მოეწონა ტრესტის ცნობილ ინჟინერ მ. უსტიაშვილს და ყოველმხრივ მხარს უჭერდა. 1969 წლიდან კომკავშირის ბათუმის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დააწინაურეს. 1970-1973 წლებში იყო კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, 1973-1974 წლებში გადაიყვანეს რაიკომის უფლების მქონე ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. უკვე მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. შეისწავლა კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა, გაწმინდა ორგანიზაცია „მკვდარი სულებისაგან“, დააზუსტა კომკავშირელთა რაოდენობა. ამის შემდეგ კომკავშირული ორგანიზაცია აქტიურ როლს ასრულებდა სოფლად ახალგაზრდობის აქტიურად დარაზმვაში არსებული ამოცანების გადასაწყვეტად. მალე იგი დააწინაურეს ამავე კოლმეურნეობაში პარტკომიტეტის მდივნად. რაიონის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ მოსულ ახალ კადრებს ამირან მამულაძის აქტიურობა დიდად არ მოსწონდათ, ამიტომ შეეცადნენ მის თავიდან მოშორებას. ამის მიზეზად მამის მოქმედება ჩათვალეს - მამამ დაუმუშავებელი მიწა აითვისა ნებართვის გარეშე (140 კვმ). ეს გამოიყენეს შვილის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმად და იგი დასაჯეს. ბატონმა ამირანმა თავისი ნებით მიატოვა პარტკომის მდივნობა. ეს ამბავი გაიგო აჭარის ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარე გიორგი დავითაძემ, რომელიც ხულოს რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის დროს ამირანს ხვდებოდა და საზღვაო სასწავლებლისთვის ბავშვთა მობილიზაციას სთხოვდა. მან მიიხმო ამირანი და აიყვანა სამსახურში 1974 წელს ჯერ ტურიზმის განყოფილების გამგედ, შემდეგ ტურიზმის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 70-იან წლებში აჭარის ტურიზმი ინტენსიურად განვითარდა, სახელმწიფო სექტორის პარალელურად, ამუშავდა საოჯახო ტურიზმი. ტარდებოდა საზღვაო და სარკინიგზო ექსკურსიები სხვადასხვა ტურისტული მარშრუტით. მასში ტურისტებთან ერთად ჩაბმული იყო აჭარის რაიონების მოსახლეობაც.

ამირან მამულაძე 1978-1983 წლებში საქართველოს ტანსაცმელსაჭრობის ბათუმის ბაზის მმართველია, 1983-1985 წლებში - ბათუმის აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგე, 1985-1987 წლებში - აჭარის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილეა. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს ბევრი კეთილი საქმე უკეთებია, მათ შორის დავით მამულაძის საფლავის გაკეთების ორგანიზაცია. 1989 წელს დამთავრა მეორე უმაღლესი სასწავლებელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტის სპეციალობით.

1987-1988 წლებში გადაიყვანეს ბათუმის 144-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორად. კაპიტალური რემონტის ჩატარებით, კარმიდამოს კეთილმოწყობით შენობის რეკონსტრუქცია მოახდინა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით იერსახე შეუცვალა სასწავლებელს, რამაც ხელი შეუწყო რაიონებიდან ახალგაზრდების მოზიდვას პროფესიული განათლების მისაღებად.

დაგეგმილი იყო სასწავლებლის 100 წლისთავის იუბილის აღნიშვნა. მზადდებოდა მასალები წიგნის დასაწერად, რაც შემოინახავდა საუკუნოვანი სასწავლებლის საინტერესო ისტორიას. სამწუხაროდ, დაინტერესებულ დირექტორს დასახული გეგმის რეალიზაცია არ აცალეს.

ამირან მამულაძე 1989 წელს გადაიყვანეს „აჭარკოოპკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. აქაც მისი ინიციატივითა და თავმჯდომარესთან შეთანხმებით მთიან რაიონებში შეიქმნა განყოფილებები, რამაც გააუმჯობესა დაშორებული უბნების მოსახლეობის მომსახურება. 1994 წლიდან ბათუმის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეა, 1996 წლიდან კი პენსიონერია და ეწევა საოჯახო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. მშობლიურ სოფელში ვენახი გააშენა. მთელ დროს სოფელში ატარებს. მისი და თანამოაზრე მეზობლების ინიციატივით, კალოთაში საუკუნეების წინათ აშენებული ეკლესიის რესტავრაციას აკეთებენ, რასაც მხარი დაუჭირა სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა. მისი ლოცვა-კურთხევით ხორციელდება მუშაობა ეკლესიის აღდგენისათვის. სოფელი კალოთა არა მარტო ამ ეკლესიით ამაყობს, არამედ მხოლოდ აქ აღმოჩნდა მეგალითური ეკლესიის ნანგრევები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ეკლესია აშენებულია წარმართობის ხანაში და აქ ცხოვრობდა ხალხი. მიუთითებს აჭარისა და საქართველოს დიდ ისტორიაზე. ეს სოფელი განათლებისა და მეცნიერების ხაზითაც დაწინაურებულია. ბატონი ამირანი თავისი ენერგიული, პასუხისმგებლიანი საქმიანობით, მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით, კომუნიკაბელობით, შრომითი კოლექტივისადმი მომთხოვნელობითა და მასზე ზრუნვით, უზადო მეგობრობით იყო გამორჩეული. ყველგან, სადაც კი მუშაობდა, სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა. არის ყურადღებიანი, სიტყვისა და საქმის კაცი, ყველას პატივს სცემს - ცოცხალსაც და მკვდარსაც, არ გამოტოვებს ნაცნობ-მეგობრების მძიმე დღეებს.

ბატონი ამირანი კარგი მეოჯახეა. მანანა მიქელაძესთან ერთად შექმნა კარგი ოჯახი, გაზარდეს 3 შვილი (ყველა უმაღლესი განათლებითაა, დაოჯახებული და დასაქმებულია), ჰყავთ 5 შვილიშვილი.

ჩვენო ძმაო და მეგობარო, შენ, 80 წლის ასაკს მიღწეულ პიროვნებას, გაქვს ყველანაირი უფლება, ატარო სახალხო გმირ „ამირანის“ სახელი და დიდი „მამულაძის“ გვარიც.

ამირან მამულაძე წევრია ქვემოთ დასახელებული სამი არასამთავრობო საზოგადოებისა, რომლებმაც მოამზადეს საიუბილეო წერილი და გილოცავენ საიუბილეო თარიღს, გისურვებენ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს, ახალ-ახალ წარმატებებს და აღნიშნავენ, რომ შენი დამოკიდებულება სანიმუშოა ახალგაზრდობისათვის, რომ უყვარდეთ და არ დატოვონ სოფელი, ემსახურონ მათ ხეობას, კუთხეს, სრულიად საქართველოს. დიდხანს გევლოს ქათქათა ბათუმის ქუჩებში.

აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოება,

იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია,

დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მოამაგე“

მეწყერი გზას და უბანს უტევს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

რამდენიმე წლის წინ სოფელ შუბნის აღმოსავლეთი ნაწილი დაიმეწყრა. მეწყერმა საუკუნოვანი წიფლის, ნაძვის ხეები ჩაიყოლა. სპეციალისტების რეკომენდაციით რამდენიმე ოჯახმა ახალი საცხოვრებელი გამონახა.

წლევანდელმა უხვთოვლიანმა ზამთარმა მეწყერული პროცესი შუბნის დასავლეთ, კურდღლისერის ტერიტორიაზე გააქტიურა. მეწყერი თითქმის 0,5 ჰექტარზეა განვითარებული. საფრთხეშია ვაკის უბანში მისასვლელი საავტომობილო გზა.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ სურმანიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე.

- ამ ეტაპზე გზის სავალი ნაწილის რეკონსტრუქციის თადარიგს ვიჭერთ. დამრეც და ციცაბო ტერიტორიაზე ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია. პირველ რიგში, ჩამონადენ წყლებს მივუჩენთ ადგილს. შემოგარენში სპეციალისტების რეკომენდაციის შესაბამისად ვიმოქმედებთ, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

საჯარო ინფორმაცია

ბექა მანველიძეს (პ/ნ 61001070508,
ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. №59, ბ. №7,
ქ. ბათუმი, ახვლედიანის ქ. №3, ბ. №45;
577465446)

შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალსა“ და თქვენ შორის 2019 წლის 13 სექტემბერს №HEAD.0008234.001 გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე და სასესხო ხაზის ფარგლებში, 2019 წლის 13 სექტემბერს №HEAD.0008234.001-001 სესხის ხელშეკრულებით გაცემული იქნა სესხი შემდეგი პირობებით:

სესხის მოცულობა - 30000.00 ლარი.
სესხის საპროცენტო სარგებელი - 20435.65 ლარი.
სესხის სარგებლობის ვადა - 1096 დღე.
სესხის დაფარვის თარიღი - 13-09-2022 წელი.

გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაცემული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, თქვენი დავალიანება შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“ წინაშე 27/04/2022 წ. მდგომარეობით შეადგენს 60993,39 ლარს.

შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალი“, როგორც „მოგირავნე“, გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ გადმოგვცეთ მფლობელობაში გირავნობის საგანი - სატრანსპორტო საშუალება, ავტომანქანა - **PORSCHE**, მარკა - **PANAMERA 4S**, სახელმწიფო ნომერი **CC272GC**, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა - **BV3333619**, საიდენტიფიკაციო ნომერი - **WPOZZZ97ZAL040895**, გამოშვების წელი - **2009**, მესაკუთრე - **ბექა მანველიძე.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თქვენ ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის შესახებ.

მოთხოვნის ორი კვირის ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258^{1} მუხლის შესაბამისად, მივმართავთ სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას, მოგირავნეს უფლება აქვს, მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს/თანამდებობის პირს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალზე“ გადმოცემის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულების 8.1.2. პუნქტის შესაბამისად განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260^{1} მუხლის და გენერალური სასესხო ხაზისა და გირავნობის ხელშეკრულების 8.1.1. პუნქტის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალება გადმოვა ჩვენს საკუთრებაში.

შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“ დირექტორი
მამუკა მიქელაძე

შეცდომის გასწორება

21-27 აპრილის გაზეთ «აჭარის» პირველ გვერდზე ნუმერაციაში ტექნიკური მიზეზებით გაიპარა შეცდომა: «№41 (24.921)»-ის ნაცვლად უნდა იყოს «№40 (24.920)».

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 27/04/22, 21 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ლეონკავალოს „ჯამბაზები“ ისევ ბათუმის სცენაზეა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში იმ დღეს დიდი ხალხმრავლობა იყო. თითქმის გადაჭედილ დარბაზში მსხდომ მსმენელებს, რომელთა შორის უკრაინიდან იძულებით გადაადგილებული ადამიანებიც იყვნენ, პანდემიით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ბათუმის მუსიკალური ცენტრის საოპერო დასმა რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზები“ შესთავაზა. ოთხი წლის წინ დადგა ჩვენთან ეს სპექტაკლი ქუთაისელმა რეჟისორმა მაია გაჩეჩილაძემ და მანვე აღადგინა. როგორც გვითხრა, შეიცვალა მიზანსცენები, ბავშვთა გუნდის შემადგენლობა (მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა გუნდი), ახალი სოლისტი წარსდგა კანიოს როლში - ევროპის სხვადასხვა სცენაზე მოღვაწე ახალგაზრდა ტენორი გიორგი სტურუა

- ბედნიერებაა, რომ ასეთი კარგი გუნდი და ასეთი შესანიშნავი სიტუაციაა ბათუმში. ჩემი სურვილია, აქ, თქვენს ქალაქში იყოს ოპერის თეატრი, თუნდაც კამერული, პატარა და ამას ოპერის თეატრი ერქვას და არა საოპერო დასი. აქ ამის პოტენციალი ნამდვილად არის, - გვითხრა მაია გაჩეჩილაძემ.

სპექტაკლში, გიორგი სტურუას გარდა, მონაწილეობენ ბათუმის საოპერო დასის სოლისტები ნონა კორიფაძე (ნედა), ოთარ ნაკაშიძე (ტონიო), ზაზა ხამათაშვილი (სილვიო), მიხეილ გასპარიანი (პეპე, არლეკინი), აკრობატები გელა მაჭავარიანი, ბაქარ ბაქრაძე, მარიამ ზივზივაძე. სპექტაკლის მთავარი დირიჟორია დავით მუქერია, რეჟისორის ასისტენტი - ზვიად მურვანიძე, დამდგმელი მხატვარი - ნესტან ნეიძე, გუნდის კონცერტმაისტერი - ციური დუმბაძე, ხელოვნების სკოლის კონცერტმაისტერი - ჯინა მუჯირი.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო სპექტაკლი, დიდხანს უკრავდა ტაშს თითოეულ მონაწილეს. დარბაზშიც და სცენაზეც ამაღლებული განწყობა სუფევდა, ყველა მოწოდების სიმაღლეზე იდგა - სოლისტები, გუნდი, ორკესტრი, რომელსაც იმ დღეს მამუკა ალაფიშვილი დირიჟორობდა. სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი დავით მუქერია გახლავთ, მაგრამ მან წინა დღეებში ფეხი დაიზიანა და მაესტრო მამუკა ალაფიშვილმა შეცვალა, რომელმაც რამდენიმე დღეში შეძლო სპექტაკლისთვის მომზადება. მისი დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა.

- იმდენად დიდია ჩემი ემოცია, რომ ვერ გადმოვცემ. მოკლე დროში გაკეთდა ყველაფერი, შეხმატკბილებულად ვიმუშავეთ და მგონი, გამოგვივიდა, ამიტომაც ვართ გახარებულები, - თქვა მამუკა ალაფიშვილმა.

სპექტაკლის შემდეგ შთაბეჭდილებები ჩავიწერეთ.

აპაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- მართალია, „ჯამბაზების“ პრემიერა 2018 წელს შედგა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, დღევანდელ განახლებულ დადგმასაც პრემიერა ეწოდოს. ის, რაც დღეს ბათუმში ხდება, არის მაღალი კლასის ხელოვნება, მაღალი თამასა, რომელსაც უნდა გაუსწორდეს ყველაფერი, რაც ჩვენს ქალაქში ხდება ყველა მიმართულებით - იქნება ეს დრამატული თეატრი, ქორეოგრაფია თუ ფოლკლორი. დღეს ბათუმში ნამდვილი ზეიმია. ვულოცავ დასსაც და ჩვენს ქალაქსაც.

გიორგი სტურუა, სოლისტი:

- თავად ჩემი პარტია ძალიან ემოციურია. ამას კიდევ ამძაფრებდა ის მომენტი, რომ ეს ხდებოდა ბათუმში დიდი პაუზის შემდეგ, მეც ეს პარტია დიდი პაუზის შემდეგ ვიმღერე. დღევანდელმა დღემ ძალიან წარმატებით ჩაიარა. ვისურვებდი, მრავალი ასეთი საღამო ჰქონოდეს ბათუმს და ბათუმელებს.

ნონა კორიფაძე, სოლისტი:

- პანდემიის შემდეგ პირველად მოგვეცა საშუალება, სპექტაკლში გვემღერა. ბედნიერი ვარ, რომ მისი აღდგენა ძალიან მოკლე დროში მოხერხდა. ვფიქრობ, კარგი გამოვიდა, ნამდვილი პრემიერა იყო, რომელშიც ყველამ თავისი წილი გაიღო - მამუკა ალაფიშვილმა, ორკესტრმა, გუნდმა, სოლისტებმა. ვულოცავ ბათუმს.

ოთარ ნაკაშიძე, სოლისტი:

- ამ სპექტაკლში ჩემი დებიუტი 2016 წელს შედგა იტალიის ქალაქ ბრეშაში. ურთულესია ჩემი როლი. მიუხედავად იმისა, რომ მოკლეა, ტექნიკურად და ვოკალურად ერთ-ერთ რთულ პარტიად ითვლება, მსოფლიოში მას ბევრი არ ასრულებს. სასიხარულოა „ჯამბაზების“ დადგმა ბათუმში იმ მხრივაც, რომ დავინახეთ - ქალაქს ძალუძს ასეთი მაღალი დონის პექტაკლის გამართვა და თანაც ასეთ მოკლე დროში. კარგ გარემოში ჩატარდა სპექტაკლი, სავსე დარბაზი მომღერლებსაც დადებითად განაწყობს. დღეს ზეიმი იყო ჩვენთვისაც და მსმენელისთვისაც.

რუსუდან ბერიძე, ქორმაისტერი:

- ბედნიერი ვარ, რომ ორწლიანი შესვენების შემდეგ სულს მოწყურებული სპექტაკლი დაიდგა და კარგიც გამოვიდა. კმაყოფილი ვარ, რა თქმა უნდა, კაპელამ დამამშვენა, ასევე ბავშვთა გუნდმა. ბავშვებმაც გაიხარეს, მათთვის ეს ზეიმი იყო რეპეტიციებიდან მოყოლებული. კაპელა კი ყოველთვის შეუდარებელი და მოწოდების სიმაღლეზეა, სოლისტების შემადგენლობა იყო ბრწყინვალე, რაც მარიამ ჯახუტაშვილის დამსახურებაა. ის ყველაფერს მაღალ დონეზე აკეთებს.

მეგი ჭანტურია, ქუთაისის საოპერო თეატრის, გიორგი სტურუას კონცერტმაისტერი:

- გიორგი სტურუა უკვე აღიარებული ტენორია. ამ ბოლოს ორივე ძალიან გახარებულები ვართ იმით, რომ ბათუმში მოღვაწეობს. ძალიან შეიყვარა მან საოპერო დასი. დღევანდელი სპექტალი იმის დასტური იყო, რომ ის დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს და შედეგმაც არ დააყოვნა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მარიამ ჯახუტაშვილს, დირიჟორ მამუკა ალაფიშვილს, თითოეულ კოლეგას, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის წარმატებას.

მარიამ ჯახუტაშვილი, ბათუმის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და ვოკალის პედაგოგი:

- ოთხი წელი არ დაგვიდგამს ეს სპექტაკლი. ჩვენი მონაპოვარია მთავარი როლის შემსრულებელი გიორგი სტურუა, რომელიც კანიოს როლს ასრულებს. იგი ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მაგისტრატურას წელს ამთავრებს. ბევრი მიწვევა აქვს უცხოეთში, შესანიშნავად იმღერა იტალიაში ძალიან ცნობილ მომღერლებთან ერთად, ახლა ესპანეთში მიემგზავრება. ის ძალიან კარგი შევსებაა ჩვენი საოპერო დასისთვის როგორც მომღერალი, როგორც პიროვნება. ნონა კორიფაძე იყო ბრწყინვალე, ბაჩო ნაკაშიძეც, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს და უკვე უცხოეთშიც ძალიან წარმატებით გამოდის. დიდი მადლობა კონცერტმაისტერებს - ნანა კვირიკაძეს, ნინო ნიშნიანიძეს, მარინა ქიქავას, რომლებმაც ურთულესი სამუშაო ჩაატარეს ძალიან მოკლე დროში, ასევე კაპელას. მამუკა ალაფიშვილისთვის დღევანდელი სპექტაკლი იყო ძალიან წარმატებული დებიუტი. ძალიან კარგები იყვნენ პატარა ბავშვებიც.

ბათუმის საოპერო დასი ახლა „სოფლის ღირსების“ აღსადგენად ემზადება, ასევე ფიქრობენ „ქეთო და კოტეს“ აღდგენას, რომლის დადგმას ნოემბრის ბოლოს გეგმავენ. როგორც მარიამ ჯახუტაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, აღდგენილი „ქეთო და კოტე“ სურთ ფილმს დაუახლოვონ.

- არავითარი თანამედროვე კოსტიუმები, გვინდა იყოს ისეთი, რომ მისი ნახვა კიდევ მოგინდეს, იყოს ისეთივე, როგორიც ფილმია. ვმუშაობთ „დონ კარლოსზეც“. მიუხედავად პანდემიისა, მუშაობა არასოდეს შეგვიწყვეტია, რადგან სოლისტების გაჩერება არ შეიძლება, - გვითხრა მარიამ ჯახუტაშვილმა.

სიმართლის ამსახველი ეპოპეა

სიტყვა დარია თურმანიძეზე

წიგნის თაროებზე ახლახან გამოჩნდა კრებული - «ლამაზი სიცოცხლის პალიტრა» (ავტორები - თამაზ აბულაძე და ჟუჟუნა შარაძე)

თანდართული ანოტაცია გვაუწყებს: «ეს წიგნი ერთი ლამაზი სიცოცხლის პალიტრაა, რომელშიც წარმოჩენილია ადამიანი, ვინც ქედის რაიონის ქალთაგან ყველაზე მაღალ თანამდებობას მიაღწია და ყოველთვის გამოირჩეოდა სხვაზე ზრუნვით. საკუთარი კვალი დატოვა, განსაკუთრებით, მეოცე საუკუნის ბოლო მესამედის ქედის ისტორიაში».

2014 წლის 14 ნოემბერს დარია თურმანიძეს საპატიო ქედელის წოდება მიენიჭა. არ არიგებენ ამგვარ ტიტულებს ჰაიჰარად!

დარია თურმანიძის მიერ გავლილი ცხოვრების გზა შინაარსით დახუნძლული, ულამაზესი ეპოპეაა.

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ მერისში, პატიოსნებითა და კაცთმოყვარეობით ცნობილ რეჯებ თურმანიძის ოჯახში. შვიდი შვილი აღზარდა ამ დიდებულმა ოჯახმა - ორი ვაჟკაცი და ხუთი ქალიშვილი. შვიდივეს განათლება მისცა. ჯემალმა საზღვაო სასწავლებელი დაამთავრა, გულნარამ პედაგოგიური განთლება მიიღო, კლარამ სამედიცინო სასწავლებელში არჩია სწავლის გაგრძელება, ნაზიკო მეცხრე კლასელი იყო, როცა სიყვარულით გათხოვდა, სანიმუშო ოჯახი შექმნა და საამაყო შვილები აღზარდა, მისაბაძი ოჯახები შექმნეს ჯუმბერმა და ჯემალმა, რომანი გამოცდილი მეზღვაურია.

დარია თურმანიძემ წარმატებით დაამთავრა სოფელ მერისის საშუალო სკოლა და პატივისცემით იხსენებს საყვარელ მასწავლებლებს: მარო შარაშიძეს, დავით თებიძეს, აბდულ (არჩილ) ჩხეიძეს, არტემ კალანდარიშვილს, ვლადიმერ თურმანიძეს, ალექსანდრე გოგოლიშვილს, ოთარ ბეჟანიძეს... ამას პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდიც მოჰყვა. სკოლაში დირექტორობდნენ სამაგალითო ადამიანები და დიდებული პროფესიონალები: მურად დოლიძე, მიხეილ დიასამიძე, ოთარ ბროლაძე, ზაურ თურმანიძე, გია ბარამიძე.

რა თქმა უნდა, ამგვარმა გარემომ, საუკეთესო გავლენა მოახდინა პედაგოგის სრულქმნასა და მის შემდგომ კარიერაზეც.

კრებული «ლამაზი სიცოცხლის პალიტრა» დასტურია იმისა, რომ დარია თურმანიძე, თავისი ამაღლებული ცხოვრების წესით, ყოველთვის ამშვენებდა იმ სამოღვაწეო ასპარეზს, რომელიც ზეციურმა გამგებელმა დაუკანონა. ეს იყო წლები რიგითი მასწავლებლობიდან რაიკომის მდივნობამდე. ეამაყება თავისი გავლილი გზა, რომლითაც დაკავშირებული იყო საუკუნის ისეთ ამაღლებულ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: ჟიული შარტავა, ვახტანგ პაპუნიძე, ლამარა ბოლქვაძე, ნანი გუგუნავა, რენა სარიშვილი, ნათელა დუმბაძე, ეთერ აბულაძე, ეთერ დეკანაძე, ჩიტო ომერაძე, ციალა სურმანიძე, ნათელა დუმბაძე...

რამდენი რამ აქვს გასახსენებელი!

თითქოს გუშინ იყო, კინოფილმ «მევლუდის» გადამღებ შემოქმედებით ჯგუფს რომ მასპინძლობდა. რაიკომის მდივნის ყურადღება წუთითაც არ მოჰკლებია საყოველთაოდ აღიარებულ ქართველ კინომსახიობებს.

ახსოვს მეტად საინტერესო შეხვედრა ევგენი ჯუღაშვილთან. ათეული წლების შემდეგ იტყვის: «სტალინელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ბევრი რამ ვიცი მის შესახებ... რომ არა ის, საბჭოთა კავშირი ვერ დაამარცხებდა ფაშიზმს».

უბედნიერეს განცდათა შორის პირველ ადგილს 1978 წლის გაზაფხულს ანიჭებს, რადგან იმ დღეების მადლით შეინარჩუნა «ქართულმა ენამ სახელმწიფო სტატუსი».

დარია თურმანიძე ღრმად მორწმუნე პიროვნებაა. ამიტომაც, წიგნის ფურცლებზე სერიოზული ადგილი აქვს დათმობილი მამა სევერიანეს, პირველ აჭარელ სასულიერო პირს, სამსაუკუნოვანი სიჩუმის შემდეგ. მოგვიანებით იგი ძმამ შეცვალა - სისომ (მამა სერაფიმემ), სქიმარქიმანდრიტმა. ეამაყება დარია თურმანიძეს, რომ მისი სულიერი შვილი იყო.

«ქალის გუშაგი სათნოებაა» - ეს სიტყვები დიდი ხნის წინ წარმოთქვა გენიალურმა ოვიდიუსმა, მაგრამ მას ყავლი არასოდეს გასვლია, საფუძველი კი ისაა, რომ დარია თურმანიძის მსგავსი პიროვნებები საქართველოს

ყველა საუკუნეში ამშვენებდნენ. მართალია, ისინი თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ, მაგრამ მაგალითის ძალა ხომ სიმამაყის მყარი საფუძველია.

ამგვარი გრძნობის ნიადაგზე წიგნად იქცა მოწოდება და შეიქმნა სიმართლის ამსახველი ეპოპეა - «ლამაზი სიცოცხლის პალიტრა».



გვჯერა, მკითხველი ინტერესითა და სიყვარულით ჩაიკითხავს თითოეულ ფურცელს.

ციცანა ანთაძე

კვარაცხელია და „ნაპოლი“... ოფიციალურად დადასტურდა

„ნაპოლის“ პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა ნეაპოლურ რადიოსთან (KKN) ინტერვიუში ოფიციალურად დაადასტურა, რომ ზაფხულის სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე მათი პირველი ტრანსფერი ხვიჩა კვარაცხელია იქნება, რომელთანაც 5-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელის მიმართ ეს საუბრები რამდენიმე თვეა, აქტიურად მიმდინარეობს. კვარაცხელიამ ყაზანის „რუბინთან“ ხელშეკრულება გაწყვიტა და ამჟამად ეროვნულ ლიგაში გამოდის.

სპალეტის მიერ გაწვრთნილი ნეაპოლური კლუბი სკუდეტოსთვის იბრძვის, მომავალი სეზონიდან კი მათი ლიდერი ლორენცო ინსინიე „ტორონტოში“ გადაბარგდება.

ამირან გურიელიძე